საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 271 (799) | შაბათი, 25 დეკემბერი, 1993 წელი | ფასი 300 კუპონი

პირველი სვეტი

ცნობები დასავლეთ საქართველოდან

ქუთაისში სტაბილური მდგომარეობაა, თუმცა ელექტროენერგიის შეფერხებით მიწოდება უარყოფითად მოქმედებს წიხქვილკომბინატის მუშაობაზე.

კრიმინოგენული სიტუაცია ლანჩხუთში უმჯობესდება. მოსახლეობას აქვს სასმელი წყალი, ელექტროენერგიისა და ფქვილის მიწოდება კვლავ პრობლემად რჩება.

ზუგდიდს ელექტროენერგია მხოლოდ პურის საცხობებისა და ქალაქის ცენტრალური რაიონებისთვის ეყოფის. ნაწილობრივ დატვირთვით ამუშავდა ქალაქის ზოგიერთი სამრეწველო საწარმო.

●

მიმდინარეობს გამოძიება

„იბერიის" კორესპონდენტს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარემ რეზო შავიშვილმა განუცხადა, რომ მან არ იცის და არც სურს იცოდეს, ვინ არის დაპატიმრებული იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებსაც იძიებდა კონტროლის პალატა.

„ჩვენ გადავეცით რამდენიმე ათეული საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს და ვიცით, რომ უკვე აღძრულია 6 სისხლის სამართლის საქმე".

კითხვაზე, მიმდინარეობს თუ არა მოკვლევა დემურ დვალიშვილის მიმართ, რ. შავიშვილმა უპასუხა, რომ ეს მისთვის უცნობია.

●

გრძელდება ქართველების გენოციდი

აფხაზეთში გრძელდება დარჩენილი ქართველების გენოციდი. აფხაზი და ჩრდილოეთ კავკასიელი „ბოევიკები" ანადგურებენ ქართულ დასახლებებს და სპობენ ყოველგვარ ნაკვალევს მისას, რომ აქ ქართველი კაცი ოდესმე ცხოვრობდა. თუმცა ბედისა და ილორის ტაძრები ჯერ კიდევ ხელუხლებელია.

თანამშრომლობისათვის ურთიერთპასუხსაგებ საწყისებზე

გუშინ თბილისში დაბრუნდა საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების აშგაბათის შეხვედრაში მონაწილეობდა

აშგაბათი, 24 დეკემბერი. (საქინფორმის სპეც. კორ. ედუარდ ედიბერიძე). როგორც დაგეგმილი იყო, 23 დეკემბერს საღამოს ედუარდ შევარდნაძე, რომელიც მეთაურობდა საქართველოს დელეგაციას თურქმენეთის დედაქალაქში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებთან შეხვედრაზე, ესაუბრა პრეზიდენტებს: უზბეკეთისას — ისლამ ქარიმოვს, აზერბაიჯანისას — ჰეიდარ ალიევს, სომხეთისას — ლევონ ტერ-პეტროსიანს. ამ დიალოგების თაობაზე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მიღწეულია მორიგებანი არა მარტო ცალკეულ საკითხებზე, რომლებსაც ოპერატიული გადაწყვეტა სჭირდება, არამედ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების შესახებაც.

24 დეკემბერს დილიდანვე თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურები პრეზიდენტის სასახლეში შეიკრიბნენ თათბირზე, რომელიც დახურულ კარსმიღმა მიმდინარეობდა. შემდეგ კი თურქმენეთის მეჯლისის შენობაში გაიმართა პლენარული სხდომა, რომელშიც მათთან ერთად მონაწილეობა მიიღეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე ქვეყნების მთავრობათა მეთაურებმაც და დელეგაციების წევრებმაც.

სხდომის გახსნისას თურქმენეთის პრეზიდენტმა საპარმურატ ნიაზოვმა მიულოცა ედუარდ შევარდნაძეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლა, ხოლო რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს — რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მიღება. მან გააკეთა ინფორმაცია იმ დღეს გამართული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების დახურული თათბირის შედეგების შესახებ და, კერძოდ, განაცხადა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება შემოიღონ ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს სხდომებზე რიგრიგობით თავმჯდომარეობა. პირველ ნახევარ წელიწადს თავმჯდომარეობის უფლება სახელმწიფოთა მეთაურების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მიენიჭა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბორის ელცინს.

შემდეგ სხდომა შეუდგა დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვას. წარმოდგენილი პროექტების უმრავლესობა, რომლებიც უკავშირდება ეკონომიკური კავშირის შექმნის ხელშეკრულების რეალიზაციას, მაგალითად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების საწარმოებისა და დარგების საწარმოო კოოპერაციისა და პირდაპირი კავშირის განვითარების მხარდაჭერის პირობებისა და მექანიზმის, მათ მიერ შეთანხმებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელების, ფასებისა და გადასახადების დარგში კოორდინაციის შესახებ, მხარი დაუჭირეს სხდომის მონაწილეებმა. საერთოდ პრინციპული თანხმობა იყო მიღწეული დოკუმენტების მეორე დიდი პაკეტის განხილვის დროსაც, რომელიც შეეხება სამხედრო მშენებლობის საკითხებს, კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების რეალიზაციის მექანიზმთან დაკავშირებულ რთულ პრობლემებს, აგრეთვე ზოგიერთ სხვა საკითხს, რომლებიც წინასწარ განიხილეს წინა დღეს ამ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრებისა და თავდაცვის მინისტრების ერთობლივ სხდომაზე. მუშაობა გაგრძელდება ცალკეულ პროექტებზე, რომელთა გამო არ ყოფილა მიღწეული კონსენსუსი.

თურქმენეთის პრეზიდენტის წინადადებით სხდომაზე მიიღეს აშგაბათის დეკლარაცია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის განვითარებისა და მათ ურთიერთობაში ნდობის განმტკიცების შესახებ.

დეკლარაცია პრესაში სრულად გამოქვეყნდება.

პლენარული სხდომის დამთავრებისთანავე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელმა მდივანმა ივანე კოროტჩენიამ გამართა პრესკონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ თურქმენეთის პრეზიდენტი საპარმურატ ნიაზოვი და რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი. მათ ჟურნალისტებს გააცნეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეხვედრის შედეგები და უპასუხეს მათ მრავალრიცხოვან შეკითხვებს, კერძოდ, უთხრეს, რომ გაისად თანამეგობრობის მთავრობათა მეთაურების მორიგი შეხვედრა 4 მარტს გაიმართება მინსკში, ხოლო სახელმწიფოთა მეთაურებისა — 31 მარტს მოსკოვში.

იმავე დღეს გაიმართა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის საუბარი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან ბორის ელცინთან, რომელიც პირისპირ მიმდინარეობდა.

ამ საუბრის შინაარსი ჩვენ მხოლოდ საქართველოს დელეგაციის შინ დაბრუნების შემდეგ გავიგეთ, როცა ედუარდ შევარდნაძეს თბილისის აეროპორტში ინტერვიუ ჩამოართვეს ჟურნალისტებმა. მან ზოგადად გააანალიზა თურქმენეთის დედაქალაქში დამთავრებული შეხვედრის შედეგები და თქვა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლის გადაწყვეტილება სწორი იყო და რევიზიას არ საჭიროებს. სახელმწიფოს მეთაურის თქმით, აშგაბათში გამართული შეხვედრები და თანამეგობრობის ქვეყნების ხელმძღვანელებთან საუბრები ნაყოფიერი და კონსტრუქციული იყო. შეეხო რა, კერძოდ, რუსეთის პრეზიდენტთან საუბარს, ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ მიღწეულია ურთიერთგაგება პრაქტიკულად ორი ქვეყნის ურთიერთობის ყველა კარდინალურ საკითხზე. დაგეგმილია, რომ უკვე იანვარში დამთავრდება მუშაობა დოკუმენტების მთელ პაკეტზე. მათ შორის ყოვლისმომცველ ხელშეკრულებაზე, რომლებიც არეგულირებენ ამ ურთიერთობას. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ რუსეთი მზად არის განაგრძოს თავისი საშუამავლო მისია აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უფრო აქტიურად შეუწყოს ხელი ვითარების ნორმალიზაციას ცხინვალის რეგიონში. ედუარდ შევარდნაძე შეეხო საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობის თვისებრივად ახალ საფუძველზე აღდგენისა და განვითარების საკითხებს და თქვა, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უახლოეს ხანში რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ჩერნომირდინის ვიზიტს, რომლის დროს მრავალი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა გადაწყდება სულ სხვადასხვა სფეროში.

სახელმწიფოს მეთაურმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ესაუბრა თურქმენეთის პრეზიდენტს საპარმურატ ნიაზოვს, რომელიც, როგორც მან თქვა, გაგებით მოეკიდა საქართველოში შექმნილ სათბობ-ენერგეტიკულ კრიზისს, და დათანხმდა წლევანდელი ზამთრის ბოლომდე გადაავადოს თურქმენეთიდან მიღებული ბუნებრივი გაზისათვის დიდი დავალიანების გადახდის ვადა. გაითვალისწინეს რა საქართველოს მძიმე მდგომარეობა, ამ გაზის ტრანზიტისათვის დიდი ვალის გადახდის გადავადება გადაწყვიტეს აგრეთვე რუსეთმა, ყაზახეთმა და უზბეკეთმა, რომელთა ტერიტორიის გავლით ვიღებთ გაზს ჩვენს რესპუბლიკაში.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკასა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის ძირითადი საფუძვლების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის ძირითადი ურთიერთობის საფუძვლების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე.

თბილისი. 1993 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის კაპიტალდაბანდებათა ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის კაპიტალდაბანდებათა ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე.

თბილისი. 1993 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე.

თბილისი. 1993 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიის მუშაობა რეგლამენტით გათვალისწინებული 1994 წლის პირველი თებერვლის ნაცვლად დაიწყოს 1994 წლის 18 იანვარს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე.

თბილისი. 1993 წლის 23 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტი

ჩვენ გვინდა არდადეგები!

ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ადამიანები იყოფიან ტოროლასა და ბუს ტიპის სუბიექტებად. ჩვენ, მართალია, არც ერთი დეპუტატისთვის ტესტი არ შეგვივსებინებია, მაგრამ მაინც შეიძლება ამოცნობის პრინციპით ვივარაუდოთ, ვინ ტოროლაა და ვინ — ბუ.

გუშინწინ საღამოს ტელევიზიით პარლამენტის სხდომაზე დეპუტატების ნაცვლად ცარიელი სკამები რომ გვაჩვენეს, გულუბრყვილოებს, გვეგონა, რომ მეორე დილას ტოროლებიც და მეორენიც დილაუთენია წამოფრინდებოდნენ და პარლამენტის სხდომათა დარბაზი მაქსიმალურად შევსებული დაგვხვდებოდა. მაგრამ ბუ ბრძენია, ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებულ ცხოვრების წესზე უარს ასე იოლად არ იტყვის. გუშინ დილას ადრე ამდგარმა მხოლოდ ტოროლებმა კი კვორუმი ვერ შეადგინეს. ასე, 12 საათისათვის კი, კარგ ცხოვრებას მიჩვეულმა დეპუტატებმა კანტიკუნტად იწყეს მოსვლა, თუმცაღა, კვორუმს ვერც ამან უშველა რამე.

ფსიქოლოგები იმასაც ამბობენ, რომ ზოგადად აუდიტორიას და კათედრას შორის რამდენიმე ტიპის ურთიერთობა არსებობს. ერთი ასეთიც: მასწავლებლისა და მოსწავლის. ჩვენს დეპუტატებსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის ურთიერთობა სწორედ ამას წააგავს. ზოგიერთმა, მასწავლებელი შორს რომ დაიგულა, თვითონაც „მატალოზე" წავიდა...

სხდომაზე კი, — გააჩნია, რომელი კუთხიდან შევხედავთ — სანახაობრივად შეიძლება მოსაწყენი, მნიშვნელობით და შინაარსით კი ძალზე სერიოზული საკითხები — ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კანონპროექტები — ნახევრად ცარიელ დარბაზში, ვაი-ვაგლახით შეგროვებულ-შეკოწიწებული კვორუმის პირობებში განიხილებოდა.

ამას უკვე ფსიქოლოგები აღარ სჭირდება, იმდენად ტრივიალურია — ყმაწვილები კლასში ხან მეგობრულები არიან, ხან არა, ზოგჯერ მეტად უწევენ ანგარიშს ერთმანეთს, ზოგჯერ — არა, თემურ ბასილია კი, რომელიც ბოლო სამი სხდომის მანძილზე, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კათედრასთან ფეხზე დგას და აგრე ირჯება, ამჯერად არ შეიბრალეს, არც ამის და არც იმის გამო, რომ ის და მისი თანამოაზრეები „გაკვეთილის" მოსამზადებლად, ანუ ამ კანონზე, რამდენიმე თვეა ასე მონდომებით მუშაობდნენ. ისე, მთლად ცუდი არ უნდა იყოს, თუკი „ცელქი ყმაწვილები" ზოგჯერ გაკვეთილს გააცდენენ. ასეთ დროს გაკვეთილი მშვიდ ატმოსფეროში ჩაივლის და, როგორც დღევანდელმა შედეგებმა გვაჩვენა, გადაწყვეტილება შეიძლება ერთხმადაც კი იყოს მიღებული. ასეც მოხდა, კანონების მთელი პაკეტი ერთსულოვნად მიიღეს.

ამ ბოლო დღეების სხდომების ერთ-ერთი ძირითადი განსახილველი საგანი საგადასახადო სისტემების საფუძვლების შესახებ კანონპროექტი იყო. წინა სხდომაზე ვიცეპრემიერმა ამირან ქადაგიშვილმა თქვა, რომ სახელმწიფო ბეგარის გარდა მეწარმეებს სხვა არაერთი გადასახადი აქვთ რეალურად — რეკეტის, ყაჩაღის, „შავებისთვის". ამან დეპუტატ ზურაბ მურვანიძეს ერთი სალი აზრი გაუჩინა: — მაშ რაღა მხოლოდ ერთი ოფიციალური გადასახადის ნორმებს ვწესებთ, ბარემ შემოვიღოთ ნიხრები დანარჩენი სამისთვისაც.

დაბოლოს: საქართველოს პარლამენტმა საშობაო არდადეგები მაინც გამოაცხადა.

„არ გვინდა არდადეგები!" — ამბობენ ისინი სიტყვით;

„ჩვენ გვინდა არდადეგები!" — ამბობენ საქციელით. და გვჯერა, ორივეჯერ გულწრფელნი არიან, რადგან პირველ შემთხვევაში ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ, მეორეში კი — იქცევიან ისე, როგორც ქვეცნობიერება კარნახობთ. ეტყობა, ეს იყო იმის მიზეზიც, რომ ბევრმა მათგანმა საკუთარ თავს დასვენების ნება უფრო ადრე მიანიჭა.

გალინა ხარებაშვილი,
ირინა ჩომახიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის" საპარლამენტო კორესპონდენტები.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს 1994 წლის 1 იანვრიდან.

2. „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიღებასთან დაკავშირებით გაუქმდეს „საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ. № 7, მუხ. 480).

3. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ პარლამენტის იურიდიულ, საფინანსო-საბიუჯეტო და მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიებთან ერთად ერთი თვის ვადაში მოამზადოს და პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს წინადადებები საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

4. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

ა) ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს თავისი გადაწყვეტილებების „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" კანონთან შესაბამისობაში მოყვანა;

ბ) 1994 წლის 1 აპრილამდე მოამზადოს და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს კანონპროექტი „არასაგადასახადო შემოსავლის შესახებ".

არასაგადასახადო შემოსავლის შესახებ სათანადო კანონის მიღებამდე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შენარჩუნებულ იქნეს აღნიშნული შემოსავლის გადახდევინების მოქმედი წესი;

გ) შეიმუშაოს და 1994-95 სასწავლო წლის საშუალო სკოლების პროგრამაში შემოიღოს საგადასახადო კანონმდებლობის კურსი;

დ) გამართოს მოლაპარაკება უცხოეთის სახელმწიფოებთან შემოსავლის (მოგების) და ქონების ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების თაობაზე.

5. საბაჟო გადასახადის, სახელმწიფო ბაჟის, გარემოზე ზემოქმედების გადასახადის, სატრანსპორტო საშუალებების გადასახადის, საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაციისათვის და სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაციისათვის გადასახადის შესახებ კანონების მიღებამდე შენარჩუნებულ იქნეს ამ გადასახადების გადახდევინების მოქმედი წესი, ხოლო „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადის შესახებ" კანონის მიღებამდე — სატყეო შემოსავლის, წიაღით სარგებლობის გადასახადისა და წყლის გადასახდელის გადახდევინების მოქმედი წესი.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებს, სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას მოამზადონ კომენტარები საგადასახადო კანონთა პაკეტის გამოყენების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა უზრუნველყოს მათი გამოცემა.

7. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო, მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის, იურიდიულმა კომისიებმა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ორი თვის ვადაში მოამზადონ წინადადებები კონტროლის პალატის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის საკონტროლო ფუნქციების დაზუსტებისა და გამიჯვნის შესახებ და წარუდგინონ პარლამენტს განსახილველად.

8. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ პრესაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 21 დეკემბერი.

„საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი განსაზღვრავს საგადასახადო სისტემის მოწყობის ზოგად პრინციპებს, საქართველოს რესპუბლიკაში გადასახადებს, გადასახდელებს, მოსაკრებლებს და სახელმწიფო ბაჟს, აგრეთვე, გადამხდელების უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას. საქართველოს რესპუბლიკაში ხორციელდება ერთიანი საგადასახადო პოლიტიკა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ინტერესების გათვალისწინებით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საგადასახადო სისტემა, გადასახადები და ბაჟი

საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო სისტემა მოიცავს საგადასახადო სამსახურის ორგანოებს, საგადასახადო ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს და გადასახადების, მოსაკრებლებისა და ბაჟის სახით საბიუჯეტო სისტემაში აუცილებელი გადასახადების ერთობლიობას.

გადასახადებში და მოსაკრებლებში იგულისხმება საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემაში და ბიუჯეტგარეშე ფონდებში აუცილებელი ანარიცხები (შენატანები), რასაც გადამხდელები იხდიან კანონით გათვალისწინებული წესითა და ვადებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტში აუცილებელი შენატანები, რომლებსაც იხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები სახელმწიფო ორგანოების მხრივ გაწეული განსაზღვრული მომსახურებისა და ქმედებისათვის ამ კანონითა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 2. გადასახადების, მოსაკრებლებისა და ბაჟის შემოღების უფლება

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადასახადების შემოღების ან გაუქმების უფლება აქვს საქართველოს პარლამენტს და ამ კანონის შესაბამისად, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებსა და ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებს. ამ უფლების განხორციელება ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

მუხლი 3. გადასახადის გადამხდელები.

გადასახადის გადამხდელები არიან იურიდიული პირები, სხვა კატეგორიის გადამხდელები და ფიზიკური პირები, რომლებსაც საკანონმდებლო აქტების შესაბამისად ეკისრებათ გადასახადის გადახდა.

ამ მუხლში მითითებულ გადამხდელებს შემდგომში ეწოდება გადასახადის გადამხდელები.

მუხლი 4. გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვა

გადასახადის გადამხდელები ექვემდებარებიან სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციაში აუცილებელ აღრიცხვას გადამხდელის ადგილმდებარეობის ან მათი საქმიანობის ადგილის მიხედვით, ამასთან, ბანკები და საკრედიტო დაწესებულებები საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს უხსნის საწარმოებს მხოლოდ საგადასახადო ორგანოში მათი აღრიცხვაზე აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

საგადასახადო ორგანოში აღრიცხვის უქონლობა ბიუჯეტის წინაშე საგადასახადო ვალდებულების დადგომის მომენტისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით, განიხილება, როგორც დასაბეგრი ობიექტის დამალვა.

მუხლი 5. გადასახადით დაბეგვრის ობიექტები.

გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მოგება (შემოსავალი), საქონლის ღირებულება, გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ცალკეული სახეობა, ფასიანი ქაღალდების ოპერაციები, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა, იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ქონება, იურიდიული მნიშვნელობის მოქმედების შესრულება და საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული სხვა ობიექტები.

მუხლი 6. საგადასახადო განაკვეთის დაწესება.

1. საგადასახადო განაკვეთებისა და გადასახადის ოდენობას აწესებს საქართველოს პარლამენტი და ამ კანონის შესაბამისად თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები.

2. გადასახადის დაბეგვრის რეჟიმის შეცვლა ხორციელდება კონკრეტული გადასახადის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანით.

3. საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საგადასახადო საკითხებთან, არ შეიძლება განსაზღვრავდნენ დაბეგვრის განსაკუთრებულ წესს, გადასახადისაგან განთავისუფლებას ან შეღავათების მინიჭებას.

4. კანონებს, რომლებიც გამოიწვევს გადასახადების ოდენობის შეცვლას, უკუქცევითი ძალა არა აქვთ.

მუხლი 7. გადასახადებისაგან მიღებული სახსრების განაწილება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის.

გადასახადებისაგან მიღებული სახსრების განაწილება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის ხორციელდება ამ კანონით, „საბიუჯეტო სისტემისა და უფლების შესახებ" კანონითა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 8. საგადასახადო შეღავათები.

გადასახადებზე საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული წესითა და პირობებით შეიძლება დადგინდეს შეღავათები:

ა) გადასახადით დასაბეგრი ობიექტის დაუბეგრავი მინიმუმი;

ბ) გადასახადით დასაბეგრი ობიექტიდან გარკვეული ელემენტების ამოღება;

გ) გადასახადის განაკვეთის შემცირება;

დ) გადასახადით დასაბეგრი ობიექტის შემცირება;

ე) გადასახადის თანხის შემცირება;

ვ) მიზნობრივი საგადასახადო შეღავათები, საგადასახადო კრედიტების ჩათვლით (გადასახადების გადავადება);

ზ) საქმიანობის სფეროებზე, ტერიტორიულ ერთეულებსა და დარგებზე;

თ) უცხოური კაპიტალის სტიმულირება;

ი) განათლების, კულტურისა და მეცნიერების სტიმულირება;

კ) ჰუმანური მიზნებისა და ქველმოქმედების სტიმულირება.

ყველა სახის საგადასახადო შეღავათი გამოიყენება მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აკრძალულია ინდივიდუალური ხასიათის საგადასახადო შეღავათების მინიჭება.

მუხლი 9. გადასახადის გადამხდელთა მოვალეობანი და საგადასახადო ვალდებულებები

1. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია:

ა) სწორად გამოიანგარიშოს გადასახადები და დროულად და სრული ოდენობით გადაიხადოს იგი ბიუჯეტში და ბიუჯეტგარეშე ფონდებში;

(დასასრული მე-2 გვ.)

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ

(დასასრული).

ბ) აწარმოოს საბუღალტრო აღრიცხვა დადგენილი წესით. შეადგინოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანგარიშები. უზრუნველყოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული საბუღალტრო დოკუმენტაციების შენახვა სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში;

გ) აღმოუჩინოს დახმარება საგადასახადო სამსახურებს შემოწმების ჩატარებისას;

დ) წარუდგინოს საგადასახადო სამსახურებს გადასახადების გამოსაანგარიშებლად და გადასახდელად საჭირო დოკუმენტები და მონაცემები;

ე) შეიტანოს შესწორებები საბუღალტრო ანგარიშგებაში შემოწმებებით გამოვლენილი დამალული ან შემცირებული მოგების (შემოსავლის) თანხის ოდენობით;

ვ) საგადასახადო სამსახურების მიერ ჩატარებული შემოწმების აქტებში მოცემულ ფაქტებთან უთანხმოების შემთხვევაში, წარადგინოს წერილობითი ახსნა-განმარტება ამ აქტის ხელის მოწერაზე უარის მოტივებით;

ზ) შეასრულოს საგადასახადო სამსახურების მოთხოვნები გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად;

თ) დაუშვას სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მუშაკები საწარმოო, სასაწყობო, სავაჭრო, სამსახურებრივი შენობების, სატრანსპორტო საშუალებების, ქონების შენახვისა და გამოყენების ადგილების გამოსაკვლევად, რომლებიც გამოყენებულია სამეწარმეო საქმიანობისათვის და შემოსავლის მისაღებად;

ი) წარუდგინოს საგადასახადო სამსახურებს საგადასახადო შეღავათების დამადასტურებელი დოკუმენტები;

კ) მესაკუთრის (უფლებამოსილი შესაბამისი ორგანოს) ანდა სასამართლოს გადაწყვეტილებით იურიდიული პირის ლიკვიდაციის (რეორგანიზაციის) თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ ათი დღის ვადაში აცნობოს საგადასახადო სამსახურებს;

ლ) სწორად დააკავოს საშემოსავლო გადასახადი მათ მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული შემოსავლიდან და დროულად გადარიცხოს დაკავებული თანხები ბიუჯეტში;

მ) გადასახადის ვადის დადგომამდე ჩააბაროს საგადასახადო დავალება ბანკის შესაბამის დაწესებულებებს გადასახადების ბიუჯეტში გადასარიცხად.

ასეთი ოპერაციების მომსახურებისათვის იურიდიული და ფიზიკური პირები საფასურს არ იხდიან.

2. საგადასახადო ვალდებულებები წარმოიშობა გადასახადის გადასახდელის მიერ მოგების (შემოსავლის) მიღებასთან დაკავშირებით, ან როცა მას კანონიერ საფუძველზე აქვს სხვა დასაბეგრი ობიექტები, რომელთა მიხედვით დაწესებულია ესა თუ ის გადასახადი (ან გადასახადთან გათანაბრებული ბიუჯეტში სავალდებულო გადასახდელი).

3. საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით, საკანონმდებლო აქტებით დგინდება:

გადასახადის გადამხდელი (გადასახადის სუბიექტი);
დაბეგვრის ობიექტი;
დაბეგვრის ერთეული;
გადასახადის განაკვეთი;
გადახდის ვადები;
გადასახადით დაუბეგრავი შემოსავლის მინიმუმი;
გადასახადის გადამხდელისა და სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფლება, მოვალეობა და პასუხისმგებლობა;
საგადასახადო შეღავათები და პრივილეგიები;
ბიუჯეტი, რომლის შემოსავალშიც ჩაირიცხება გადასახადი.

4. ფიზიკური პირის საგადასახადო ვალდებულება წყდება მისი შესრულებით, გადასახადის გაუქმებით ან გადასახადის გადამხდელის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ ვალდებულების შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დაწესებული.

5. იურიდიული პირისა და ამ სტატუსის არმქონე საწარმოს ვალდებულება გადასახადის გადახდაზე წყდება მათ მიერ გადასახადის გადახდის შემდეგ ან გადასახადის გაუქმებისას. გადასახადის გადახდის უუნარობა არის საფუძველი სამეწარმეო საქმიანობის განმხორციელებელი პირის კანონით დადგენილი წესით გაკოტრებულად ცნობისა; სასამართლო წესით ან მესაკუთრის გადაწყვეტილებით იურიდიული პირის ან იურიდიული პირის სტატუსის არმქონე საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში, გადასახადის ნარჩენზე გადახდის ვალდებულება თავისი მოქმედების პერიოდში ეკისრება სალიკვიდაციო კომისიას.

6. გადამხდელის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მისი შესრულება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით, საფინანსო სანქციებით ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, აგრეთვე ფულადი და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დაგირავებით, თავდებობით ან გადამხდელის კრედიტორთა გარანტიებით.

იურიდიული პირისა და იურიდიული პირის სტატუსის არმქონე საწარმოს ლიკვიდაციისას საგადასახადო ვალდებულება ვრცელდება მის ქონებაზე, მემკვიდრეზე ან მესაკუთრეზე.

მუხლი 10. გადასახადის გადამხდელთა უფლებები

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს:

1. ისარგებლოს შეღავათებით გადასახადების გადახდაში საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით.
2. გაეცნოს საგადასახადო სამსახურების მიერ ჩატარებული შემოწმების აქტებს.
3. წარუდგინოს საგადასახადო სამსახურებს ახსნა-განმარტება გადასახადების გამოანგარიშების, გადახდისა და ჩატარებული შემოწმების აქტებზე;
4. კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს საგადასახადო სამსახურების გადაწყვეტილებანი და მათი თანამდებობის პირთა მოქმედება.
5. მოითხოვოს ბიუჯეტში ზედმეტად ჩარიცხული თანხების უკან დაბრუნება.
6. კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებები.

მუხლი 11. გადასახადის გადამხდელთა პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის

1. გადასახადის გადამხდელები პასუხს აგებენ:

ა) მოგების (შემოსავლის) ან დასაბეგრი სხვა ობიექტების დამალვისათვის და (ან) შემცირებისათვის;

ბ) საბუღალტრო აღრიცხვის არწარმოებისათვის;

გ) საბუღალტრო აღრიცხვის არასწორი წარმოებისათვის;

დ) საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების, გაანგარიშებების, დეკლარაციების, გადასახადებისა და გადასახდელების გამოსაანგარიშებლად საჭირო დოკუმენტებისა და მონაცემების საგადასახადო სამსახურებში წარუდგენლობისათვის, დაგვიანებით წარდგენის ან მისი გაყალბებისათვის;

ე) საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებში გადასახადებისა და გადასახდელების გადასახდელად აუცილებელი დოკუმენტების წარუდგენლობის ან დაგვიანებით წარდგენისათვის;

ვ) საგადასახადო შემოწმების ჩატარებისას საგადასახადო სამსახურებისათვის ხელის შეშლისათვის და შემოწმებით გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად საგადასახადო სამსახურების მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის;

ზ) გადასახადების არასწორი გამოანგარიშებისათვის, ვადაზე და სრული ოდენობით გადაუხდელობისათვის;

თ) სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე სამეწარმეო საქმიანობისათვის, რომელიც სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას) საჭიროებს;

ი) კანონმდებლობით დადგენილი სხვა სახის დარღვევებისათვის.

2. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის გადამხდელთა მიმართ გამოიყენება შემდეგი სახის ფინანსური სანქციები:

ა) დამალული ან შემცირებული მოგების (შემოსავლის) მთელი თანხა, ხოლო სხვა დამალული ან აღურიცხავი დასაბეგრი ობიექტებიდან კანონით განსაზღვრული გადასახადის თანხის და იმავე ოდენობის ჯარიმის გადახდევინება, ხოლო სანქციის გამოყენების შემდეგ მიმდინარე ან მომდევნო საანგარიშო წლის განმავლობაში ანალოგიური დარღვევების შემთხვევაში — გამოვლენილი მთელი თანხა და ჯარიმა ამ თანხების ორმაგი ოდენობით.

ამ პუნქტით გათვალისწინებული სანქციები გამოიყენება აგრეთვე საგადასახადო განაკვეთებისა და საგადასახადო შეღავათების არასწორად გამოყენების შემთხვევაში.

უცხოური ვალუტით მიღებული მოგების (შემოსავლის) დამალვის ან შემცირების შემთხვევაში, მოგების (შემოსავლის) თანხა გადაიანგარიშება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით.

დამალულად ან შემცირებულად ითვლება გადასახადით დასაბეგრი ის ობიექტი, რომელიც ასახული არ არის სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებში წარდგენილ საბუღალტრო ანგარიშებში, ბალანსებში, გაანგარიშებებში და დეკლარაციებში, აგრეთვე საგადასახადო ორგანოებში აღრიცხვის უქონლობა და მიღებული ამონაგების (შემოსავლების), ხარჯებისა და დასაბეგრი ობიექტების ღირებულების მოცულობის საბუღალტრო დოკუმენტებში არასწორად აღრიცხვა, რის შედეგად ბიუჯეტში არ ირიცხება გადასახადები და გადასახდელები სრული ოდენობით;

ბ) საგადასახადო ორგანოებში საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების, გაანგარიშებების, დეკლარაციების და გადასახადების გამოსაანგარიშებლად საჭირო სხვა დოკუმენტების არადროული წარდგენისათვის, ფინანსური სანქციის სახით გადასახადი თანხის 10 პროცენტის გადახდევინება, ხოლო ამ დოკუმენტების საგადასახადო ორგანოებში 30 დღეზე მეტი ხნით წარუდგენლობისათვის გადამხდელს ერიცხება საურავი დოკუმენტების წარუდგენლობის 30 დღეზე მეტი ხნის ყოველი დღისათვის გადასახადის თანხის 3 პროცენტის ოდენობით;

გ) გადასახადის გადასახდელად საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებში აუცილებელი დოკუმენტების წარუდგენლობისათვის ან დაგვიანებით წარდგენისათვის ჯარიმის გადახდევინება შესაბამისი ვადისათვის გადასახდელი გადასახადის თანხის 10 პროცენტის ოდენობით;

დ) საურავის გადახდევინება დროულად გადაუხდელი თანხის 0,3 პროცენტის ოდენობით, თუ გადასახადის და ბაჟის შესახებ შესაბამისი კანონით გათვალისწინებული არ არის საურავის სხვა ოდენობა, ამასთან დამალული (შემცირებული) დაბეგვრის ობიექტის მიხედვით გაანგარიშებული გადასახადის თანხებზე საურავის დარიცხვა ხდება იმ დროიდან, როცა უნდა გადახდილიყო ეს გადასახადი. საურავის გადახდით გადასახადის გადამხდელი არ თავისუფლდება სხვა სახეობის პასუხისმგებლობისაგან;

ე) აღრიცხვის უქონლობის ყველა ცალკეულ შემთხვევაში რეალიზაციის ეტაპზე სათანადო წესით გაუფორმებელი საქონლის, აგრეთვე შემოწმების დროს გამოვლენილი და დადგენილ ვადებში საბუღალტრო დოკუმენტებში აღურიცხავი მატერიალური ფასეულობებისა და შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე არსებული მატერიალური ფასეულობების მთლიანი ღირებულების (საბაზრო ფასებით) გადახდევინება;

ვ) საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული სხვა სანქციები.

3. მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების დამალვის ან შემცირებისათვის გადასახადისა და ჯარიმის თანხები, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის სხვა დარღვევებისათვის გათვალისწინებული ფინანსური სანქციები ბიუჯეტში შეიტანება გადამხდელის განკარგულებაში დარჩენილი მოგებიდან (შემოსავლიდან).

4. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ფინანსურ სანქციებს გადამხდელთა მიმართ ახორციელებენ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოები. გადასახადის თანხა დამალული ან შემცირებული დასაბეგრი ობიექტის მიხედვით და ჯარიმების საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის გადამხდელებმა ბიუჯეტში უნდა შეიტანონ 10 დღის ვადაში სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ აქტის შედგენის დღიდან.

საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმებისა და სხვა ფინანსური სანქციების გადახდისაგან განთავისუფლება დაუშვებელია.

5. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ ადმინისტრაციული ჯარიმები ეკისრებათ:

ა) საწარმოთა ხელმძღვანელებსა და მეწარმეებს, რომლებმაც დაარღვიეს სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებში გადასახადების გადამხდელებად აღრიცხვაზე აყვანის დადგენილი წესი — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობით;

ბ) საწარმოთა ხელმძღვანელებსა და ფიზიკურ პირებს, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე, ან ეწევიან კანონით აკრძალულ საქმიანობას, აგრეთვე უნებართვოდ ისეთი საქმიანობის განხორციელებისათვის, რომლებიც სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას) საჭიროებს — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ოცმაგი ოდენობით, ასეთი საქმიანობიდან მიღებული პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებული მთელი ამონაგების დადგენილი წესით ბიუჯეტში გადახდევინებით;

გ) მეწარმეებს და ფიზიკურ პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით შემოსავლებისა და გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტის აღრიცხვის უქონლობაში, ან დადგენილი წესის დარღვევით მის წარმოებაში, აგრეთვე შემოსავლების შესახებ დეკლარაციის საგადასახადო ორგანოებში წარუდგენლობასა ან დაგვიანებით წარდგენაში და მასში შეტანილი მონაცემების დამახინჯებაში — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ხუთმაგი ოდენობით, ხოლო ადმინისტრაციული ჯარიმის დადებიდან 12 თვის განმავლობაში ანალოგიური დარღვევებისათვის კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობით;

დ) საწარმოთა თანამდებობის პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით მოგებისა (შემოსავლის) და დაბეგვრის სხვა ობიექტების დამალვაში ან შემცირებაში, გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების არასწორ გაანგარიშებაში, მოქალაქეთა შემოსავლებიდან გადასახადების არასწორად დაკავებაში ან დაკავებული თანხების ბიუჯეტში არასრულად და დაგვიანებით გადარიცხვაში, საბუღალტრო აღრიცხვის უქონლობაში ან დადგენილი წესის დარღვევით მის წარმოებაში, საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების, საგადასახადო გაანგარიშებების, დეკლარაციებისა და გადასახადებისა და სხვა გადასახდელების გაანგარიშებებთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების წარუდგენლობაში, დაგვიანებით ან დაუდგენელი ფორმით წარდგენაში, გადასახადის გადასახდელად საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებში აუცილებელი დოკუმენტების წარუდგენლობაში ან დაგვიანებით წარდგენაში — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობით, ხოლო ადმინისტრაციული ჯარიმის დადებიდან 12 თვის განმავლობაში ანალოგიური დარღვევებისათვის — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ოცმაგი ოდენობით.

6. საწარმოთა თანამდებობის პირთა ხელფასიდან ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდევინების შესახებ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების დადგენილების დაწესებულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმის თანხას საგადასახადო ორგანოები საწარმოს ახდევინებენ უდავო წესით შემდგომში დამნაშავე პირისათვის გადახდევინებით.

ფიზიკური პირების მიერ ადმინისტრაციული ჯარიმების გადაუხდელობისას ჯარიმის თანხების გადახდევინება ხდება სასამართლო წესით.

7. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევას, რის შედეგადაც არის გადასახადებისა და სხვა გადასახდელების დიდი ოდენობით დამალვისა და გადაუხდელობის ფაქტები, აგრეთვე საგადასახადო ორგანოების მოთხოვნების შეუსრულებლობას გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, მოსდევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა:

ა) მოგებისა (შემოსავლის) და გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების დიდი ოდენობით დამალვა (შემცირება) ისჯება ჯარიმით კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობით;

ბ) მოგებისა (შემოსავლის) და გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დამალვა (შემცირება) ან ამ პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის განმეორება, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ან ჯარიმით კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის სამასმაგი ოდენობით.

მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დამალვად ჩაითვლება მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტის დამალვა, რომელთა მიხედვით გადასახადი აღემატება კანონმდებლობით დადგენილი ათასი მინიმალური ხელფასის ოდენობას, ხოლო თუ გადასახადი აღემატება ხუთასი მინიმალური ხელფასის ოდენობას, მაშინ მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების დამალვა ითვლება დიდი ოდენობით დამალვად.

მუხლი 12. საგადასახადო კანონმდებლობის დაცვისათვის ბანკების, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებისა და სხვა საწარმოების თანამდებობის პირთა მოვალეობები და პასუხისმგებლობა

1. ბანკები, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები და სხვა საწარმოები ვალდებული არიან:

ა) გადასახადის გადამხდელებს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები გაუხსნან მხოლოდ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებში აღრიცხვაზე აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და აღნიშნული ანგარიშების გახსნის შესახებ 5 დღის ვადაში აცნობონ შესაბამის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციებს;

ბ) პირველ რიგში შეასრულონ გადასახადის გადამხდელთა მიერ მათი საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებიდან (მათ შორის სავალუტო ანგარიშიდან) გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების, აგრეთვე ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული ფინანსური სანქციებისა და ადმინისტრაციული ჯარიმების ბიუჯეტში გადარიცხვის საინკასო და სხვა დავალებები. საგადასახადო დავალებები ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების მიერ მიიღება გადამხდელთა საანგარისწორებო და სავალუტო ანგარიშების მდგომარეობის მიუხედავად.

ამავე წესით სრულდება სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების განკარგულება (დავალება) დადგენილ ვადებში შეუტანელი გადასახადებისა და სხვა გადასახდელების უდავო წესით გადახდევინების შესახებ;

გ) ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს ეკრძალებათ გადამხდელთა მიერ გადასახადებისა და სხვა გადასახდელების ბიუჯეტში და ბიუჯეტგარეშე ფონდებში გადარიცხვის დავალებების შესრულების დაყოვნება და გადაურიცხავი თანხების საკრედიტო რესურსების სახით გამოყენება. ასეთი ფაქტების დადგენისას ამ დაწესებულებების შემოსავალი საგადასახადო ორგანოების მიერ უდავო წესით ამოიღება საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაუშვან სახელმწიფო საგადასახადო ორგანოთა მუშაკები გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე (მათ შორის სავალუტო ანგარიშზე), შესრულებული (შესასრულებელი) ოპერაციებისა და მათს ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების შესამოწმებლად;

ე) სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მითითების შესაბამისად შეწყვიტონ გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებიდან (მათ შორის სავალუტო ანგარიშიდან) ფულადი სახსრების გაცემის, გადარიცხვისა და ჩამოწერის ყველა ოპერაცია, მათ მიერ საგადასახადო კანონმდებლობის გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის შესახებ საგადასახადო ორგანოების მოთხოვნების შეუსრულებლობის, აგრეთვე შესამოწმებლად ინსპექციის მუშაკების დაუშვებლობის და მათთვის ანგარიშებისა და ბალანსების, გაანგარიშებების, დეკლარაციებისა და გადასახადებისა და სხვა გადასახდელების გამოანგარიშებასა და გადახდასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების წარუდგენლობის (ან წარდგენაზე უარის თქმის) შემთხვევაში;

ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციებს მოთხოვნისთანავე წარუდგინონ გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე (მათ შორის სავალუტო ანგარიშზე) გასულ საანგარიშო პერიოდში შესრულებული ოპერაციებისა და ამ ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების მონაცემები.

2. ბანკების, სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებისა და მათი თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება შემდეგი სახეობის სანქციები:

ა) ფინანსური სანქციის სახით გადახდევინება:

მათ მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე (მათ შორის სავალუტო ანგარიშზე) შესრულებული გასავლის ოპერაციების საერთო თანხის 10 პროცენტის ოდენობით;

გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებიდან (მათ შორის სავალუტო ანგარიშიდან) გადასახადებისა და სხვა გადასახდელების, ფინანსური სანქციის (ადმინისტრაციული ჯარიმის) თანხების ჩამოწერის რიგითობის დაუცველობისათვის, აგრეთვე გადამხდელთა ანგარიშებიდან ჩამოწერილი თანხების ბიუჯეტის შემოსავალში (ბიუჯეტგარეშე ფონდში) ჩარიცხვის (გადარიცხვის) დაყოვნებისათვის და გადამხდელთა საგადასახადო დავალებების შეუსრულებლობისათვის (დაგვიანებით შესრულებისათვის) საურავი ჩაურიცხავი (დაგვიანებით ჩარიცხული) თანხის 0,3 პროცენტის ოდენობით გადახდის ვადის თითოეულ გადაცილებულ დღეზე. საურავის გადახდა ბანკს ან საკრედიტო დაწესებულებას არ ათავისუფლებს სხვა სახეობის პასუხისმგებლობისაგან.

ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების მიზეზით ბიუჯეტში დაგვიანებით ჩარიცხულ თანხებზე გადასახადის გადამხდელებს საურავი არ ერიცხებათ;

ბ) ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების ხელმძღვანელებზე და თანამდებობის პირებზე ადმინისტრაციული ჯარიმის დადება;

ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ხუთმაგი ოდენობით;

ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობით, ხოლო წლის განმავლობაში ანალოგიური დარღვევის განმეორებისას — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგი ოდენობით;

ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობით.

მუხლი 13. სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა

სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა განისაზღვრება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით.

თავი II

გადასახადების სახეობა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კომპეტენცია

მუხლი 14. საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი გადასახადები

1. საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედებს:

ა) რესპუბლიკური გადასახადები, რომელთა მიხედვით გადასახადით დასაბეგრი ობიექტები, გადასახადის გადამხდელები და დაბეგვრის მეთოდი და გადასახადის განაკვეთები, აგრეთვე სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში გადასახადის თანხების ჩარიცხვის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით;

ბ) ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, რომელთა შემოღება ხდება ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ.

2. ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებსა და ადგილობრივი წარმომადგენლობით ორგანოებს საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილების შემდეგ, შეუძლიათ თავიანთ ტერიტორიაზე შემოიღონ დამატებითი სახეობის ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები.

საქართველოს პარლამენტის დადგენილების გარეშე ამ კანონით გაუთვალისწინებელი დამატებითი სახეობის ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების შემთხვევაში ასეთი სახეობების გადასახადებით და მოსაკრებლებით მიღებული შემოსავალი სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ ამოიღება საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

3. ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები შეიძლება გააუქმოს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას.

მუხლი 15. რესპუბლიკური გადასახადები

1. რესპუბლიკური გადასახადების გადახდა საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ხდება ერთიანი განაკვეთის მიხედვით.

რესპუბლიკურ გადასახადებს მიეკუთვნება შემდეგი სახეობის გადასახადები:

ა) დამატებული ღირებულების გადასახადი;
ბ) აქციზი;
გ) მოგების გადასახადი;
დ) შემოსავლის გადასახადი;
ე) ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების გადასახადი;
ვ) საბაჟო გადასახადი;
ზ) სატრანზიტო გადასახადი;
თ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადი;
ი) გარემოზე ზემოქმედების გადასახადი;
კ) მიწის გადასახადი;
ლ) საწარმოთა ქონების გადასახადი;
მ) ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი;
ნ) ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი;
ო) სატრანსპორტო საშუალებების გადასახადი;
პ) სახელმწიფო ბაჟი;
ჟ) საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაციისა და სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაციისათვის გადასახადი.

მუხლი 16. ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები

1. ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებს მიეკუთვნება:

ა) საკურორტო გადასახადი;

ბ) საკურორტო ზონაში საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გადასახადი;

გ) მიზნობრივი მოსაკრებლები მოქალაქეებიდან და საწარმოებიდან ტერიტორიის კეთილმოსაწყობად მუნიციპალური პოლიციის (მილიციის) შესანახად და სხვა მიზნებისათვის;

დ) რეკლამის გადასახადი. გადასახადს იხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ახდენენ თავიანთი პროდუქციის რეკლამირებას;

ე) ავტომობილების გადაყიდვის გადასახადი. ამ გადასახადს იხდიან აღნიშნული საქონლის გადამყიდველი იურიდიული და ფიზიკური პირები;

ვ) ადგილობრივი აუქციონებისა და ლატარიების მოწყობის ნებართვისათვის სალიცენზიო მოსაკრებელი. მოსაკრებელს იხდიან აუქციონების და ლატარიების მომწყობნი;

ზ) ვაჭრობის ნებართვისათვის მოსაკრებელი, მოსაკრებლის გადახდა ხდება ერთ წლამდე ვადით ერთჯერადი ტალონის ან დროებითი პატენტის შეძენით;

თ) ავტოტრანსპორტის პარკირებისათვის მოსაკრებელი. მოსაკრებელს იხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები ამ მიზნისათვის სპეციალურად მოწყობილ ადგილებში;

ი) სათამაშო ბიზნესის გახსნისათვის მოსაკრებელი (ნივთობრივი და ფულადი მოგებებით სათამაშო ავტომატებისა და სხვა მოწყობილობების დაყენება, ბანქოს სათამაშო მაგიდების, რულეტებისა და სხვა სათამაშო საშუალებების მოწყობა). მიუხედავად მათი დადგმის ადგილისა, მოსაკრებლის გადამხდელები არიან იურიდიული და ფიზიკური პირები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადასახადები და მოსაკრებლები მთლიანად ჩაირიცხება შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში.

თავი III

დასკვნითი დებულებები

მუხლი 17. გადასახადების გადახდის თანამიმდევრობა

იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებლობის შესაბამისად საწარმოთა მოგება (შემოსავალი) რამდენიმე გადასახადის გადახდის წყაროა, მაშინ გადასახადების გადახდა ხდება შემდეგი თანამიმდევრობით:

1. საკანონმდებლო აქტების შესაბამისად ხდება ქონებრივი გადასახადების გადახდა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადასახადების გადახდილი თანხებით მცირდება გადამხდელთა დასაბეგრი მოგება (შემოსავალი), რის შემდეგ ხდება ადგილობრივი გადასახადების გაანგარიშება და გადახდა, თუ კანონმდებლობით გათვალისწინებულია ასეთი გადასახადების გადახდა;

3. ადგილობრივი გადასახადების გადახდილი თანხებით მცირდება გადამხდელთა დასაბეგრი მოგება (შემოსავალი), რის შემდეგ გაიანგარიშება და გადაიხდევინება ყველა ის სხვა გადასახადი, რომლებიც ბიუჯეტში შეაქვთ მოგების (შემოსავლის) ხარჯზე.

4. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ამ მუხლით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი მოგების ხარჯზე.

მუხლი 18. გადასახადების გადახდევინების და გადახდილი გადასახადების ბიუჯეტიდან დაბრუნების წესი

1. დადგენილ ვადებში ბიუჯეტში შეუტანელ გადასახადის თანხებს, აგრეთვე ჯარიმებს მოგებისა (შემოსავლის) და დაბეგვრის სხვა ობიექტების დამალვისათვის და საურავის გადასახდელების დაგვიანებით შეტანისათვის საწარმოებს ახდევინებენ უდავო წესით სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების განკარგულების (დავალების) საფუძველზე, ხოლო ფიზიკურ პირებს — სასამართლო წესით.

დადგენილ ვადებში გადაუხდელი (ნარჩენი) გადასახადების საწარმოებისაგან უდავო წესით გადახდევინება შეიძლება გამოყენებული იქნეს ექვსი წლის განმავლობაში ნარჩენების წარმოშობის მომენტიდან.

2. გადასახადის თანხებს, რომელთა გაანგარიშება და გადახდა დადგენილი წესის შესაბამისად ხდება შემოსავლის წყაროს გაცემის ადგილზე და რომელიც დროულად არ არის დაკავებული, მთლიანად არ არის დაკავებული ან არ არის გადარიცხული ბიუჯეტში, სახელმწიფო საგადასახადო ორგანოები უდავო წესით ახდევინებენ იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ამ თანხებს უხდიან საწარმოებსა და მოქალაქეებს.

3. გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების დარჩენილი თანხების, აგრეთვე ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული ფინანსური და სხვა სანქციებით დადგენილი თანხების გადახდა გადამხდელების მიერ თანხების უქონლობის შემთხვევაში, ხდება მათი ქონების ხარჯზე.

4. გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების გადახდევინებაზე ფიზიკური პირებისადმი წაყენებული პრეტენზიების გამო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა 3 წელია.

5. გადასახადებისა და სხვა გადასახდელების არასწორი გაანგარიშების ან გადახდევინების დადგენილი წესის დარღვევის შედეგად ბიუჯეტში ზედმეტად ჩარიცხული თანხები გადამხდელთა განცხადების საფუძველზე სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ ხუთი დღის ვადაში ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან მომავალ გადასახდელებში ჩათვლას.

6. ბიუჯეტში ზედმეტად ან არასწორად ჩარიცხული გადასახადებისა და სხვა გადასახდელების თანხების დაბრუნებაზე (ჩათვლაზე) სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა საწარმოებისათვის ერთი წელია, ხოლო ფიზიკური პირებისათვის (მოქალაქეებისათვის) — სამი წელი ამ თანხების ბიუჯეტში ჩარიცხვის დღიდან, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

ზედმეტად ჩარიცხული თანხების დაბრუნების შესახებ განცხადების წარდგენა წყვეტს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობას.

მუხლი 19. ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება

1. გადამხდელის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მიღებული მოგების (შემოსავლის) თანხა შეიტანება საქართველოს რესპუბლიკაში დასაბეგრი მოგების (შემოსავლის) საერთო თანხაში და გაითვალისწინება გადასახადის ოდენობის განსაზღვრის დროს.

საქართველოს რესპუბლიკაში გადასახდელი გადასახადები მცირდება საზღვარგარეთის ქვეყნებში მათი კანონმდებლობის შესაბამისად გადახდილი გადასახადების თანხის ოდენობით. ამასთან შესამცირებელი (ჩასათვლელი) თანხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადასახადის თანხას, რაც ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკაში გადახდას საზღვარგარეთ მიღებული მოგების (შემოსავლის) მიხედვით.

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების დადების უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

მუხლი 20. გადასახადის გადახდის კონტროლი

გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახადების სწორად გამოანგარიშებისა და ბიუჯეტში დროულად გადახდის კონტროლს ახორციელებენ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოები „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

აუდიტორული ორგანიზაციების (აუდიტორების) მიერ გადასახადების გაანგარიშებისა და გადახდის სისწორის შემოწმება ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 21. საერთაშორისო ხელშეკრულებები

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წესები.

აღნიშნული წესები მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციის შემდეგ.

მუხლი 22 საგადასახადო სამსახურის თანამდებობის პირთა მოქმედების გასაჩივრება

1. საგადასახადო სამსახურის მიერ არასწორად გადახდევინებული გადასახადების თანხები და სხვა სავალდებულო გადასახადები ექვემდებარება დაბრუნებას, ხოლო საგადასახადო სამსახურების და მათი თანამდებობის პირთა მიერ არამართლზომიერი ქმედებით გადასახადის გადამხდელისათვის მიყენებული ზარალი (მათ შორის ხელიდან გაშვებული სარგებელი) ანაზღაურდება დადგენილი წესით.

2. იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ საჩივარი საგადასახადო სამსახურების თანამდებობის პირთა ქმედების გამო წარედგინება იმ საგადასახადო სამსახურებს, რომლებსაც ისინი უშუალოდ ექვემდებარებიან. საჩივრები განიხილება და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღება მათი შემოსვლის დღიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში. საჩივრების გამო გადაწყვეტილება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საგადასახადო სამსახურში.

3. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო არ ეთანხმება ზემდგომი საგადასახადო სამსახურის გადაწყვეტილებას, ამ საწარმოს საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის შეიძლება მიმართოს საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოს.

თუ მოქალაქე არ ეთანხმება ზემდგომი საგადასახადო სამსახურის გადაწყვეტილებას, საგადასახადო სამსახურის თანამდებობის პირთა ქმედებანი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

4. საჩივრის შეტანა არ აჩერებს საგადასახადო სამსახურების თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებებს; ზემდგომ საგადასახადო სამსახურს, რომელიც საჩივრებს განიხილავს, უფლება აქვს საკითხის გადაწყვეტამდე შეაჩეროს თანხების გადახდევინება.

საგადასახადო სამსახურების თანამდებობის პირთა ქმედების გასაჩივრება, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციულ სახჯელთან, ხდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 21 დეკემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით:

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით:

ვიტალი ვარდანიძე — ლეიტენანტი, თავდაცვის სამინისტროს 1 სასწავლო ცენტრის ასეულის მეთაური; (სიკვდილის შემდეგ);

ზურაბ თიანელაშვილი — უფროსი ლეიტენანტი, 1 სასწავლო ცენტრის მეორე სასწავლო სატანკო ბატალიონის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);

იური მაისურაძე — ვიცე-პოლკოვნიკი, სპეციალური დანიშნულების გაერთიანებული სამმართველოს დაზვერვის სამმართველოს უფროსის მოადგილე (სიკვდილის შემდეგ);

გია ნიკოლაიშვილი — უფროსი ლეიტენანტი, მეორე საარმიო კორპუსის საბრძოლო მომზადების განყოფილების უფროსი ოფიცერი (სიკვდილის შემდეგ);

იოსებ წკრიალაშვილი — ზემდეგი, 1 სასწავლო ცენტრის უზრუნველყოფის ბატალიონის ოცეულის მეთაურის მოადგილე (სიკვდილის შემდეგ);

ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით:

ვიტალი სუვორიანი — სერჟანტი, ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის წევრი დეტექტიური საზოგადოება „დელტას“ ინსტრუქტორი (სიკვდილის შემდეგ);

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით:

ვანო გურგენიძე — გენერალ-ლეიტენანტი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე შეიარაღებისა და ტექნიკის დარგში;

რობერტ თავაძე — გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლის მოადგილე ზურგის დარგში;

გურამ ნიკოლაიშვილი — გენერალ-მაიორი, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსი, თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

როინ ტყემალაძე — უმცროსი სერჟანტი, თავდაცვის სამინისტროს 1 სასწავლო ცენტრის ათეულის მეთაური(სიკვდილის შემდეგ).

მედლით „მხედრული მამაცობისათვის“:

ვოვა ასტვაცატუროვი — უმცროსი სერჟანტი, თავდაცვის სამინისტროს 1 სასწავლო ცენტრის ათეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);

ნუგზარ გვრიტიშვილი — რიგითი, 1 სასწავლო ცენტრის უზრუნველყოფის ბატალიონის სატანკო ასეულის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);

ნიკოლოზ ლებანიძე — ვიცე-პოლკოვნიკი, თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის საერთო განყოფილების უფროსი;

მამუკა შავკანი — 2 სასწავლო ცენტრის, პირველი სასწავლო ბატალიონის მეთაურთა სასწავლო ასეულის კურსანტი (სიკვდილის შემდეგ).

მედლის „საბრძოლო დამსახურებისათვის“:

სერბასტიონ მოსიძე — პოლკოვნიკის, თავდაცვის სამინისტროს საჯარისო სამსახურის განყოფილების უფროსის მოადგილე (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 20 დეკემბერი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

თოფი, რომელიც არ გაისვრის

რუსეთი აპირებს აითვისოს ახლო აღმოსავლეთის შეიარაღების ბაზარი — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის დეპარტამენტის დირექტორმა ვიქტორ პუსოვალიუკმა, რომელიც მეთაურობდა რუსეთის დელეგაციას ტოკიოში ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი მოწესრიგების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის ორდღიან სხდომაზე.

ჩვენ გავდივართ სპარსეთის ყურის ექვსი არაბული ქვეყნის შეიარაღების ბაზარზე, ამასთან ვითვალისწინებთ, რომ ეს არის მშვიდობიანი სახელმწიფოები, რომლებიც არ აპირებენ თავს დაესხან ვინმეს. მათი თანამედროვე იარაღით მომარაგება არ შეუქმნის საფრთხეს რეგიონის ქვეყნების უშიშროებას.

აქამდე არცერთ ქვეყანაში უმოქმედო „კალაშნიკოვი“ არავის უნახავს. გაისვრის თუ არა ეს ახალი იარაღი?

ცასა და ზღვაში

რუსეთ-პოლონეთის არმიების გენერალური შტაბების უფროსებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებებს რუსეთისა და პოლონეთის სამხედრო უწყებებს შორის სამხედრო კავშირურთიერთობის დარგში თანამშრომლობის შესახებ, სამხედრო საჰაერო ლაინერების მიერ რუსეთისა და პოლონეთის საჰაერო სივრცის ურთიერთგამოყენების წესისა და ბალტიის ზღვაში მხარეთა პასუხისმგებლობის რაიონებში ზღვაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში თანამშრომლობის შესახებ.

წინადადება — რუსეთს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის უდიდესი სამხედრო-სამრეწველო კონცერნის „არმკორის“ მმართველმა პიერ მიერინგმა განაცხადა: „ჩვენ შევიმუშავეთ ერთიანი ელექტრონული სისტემა წყალქვეშა ნავებისათვის, რომელიც შეიცავს ბგერითი ლოკაციის სისტემას, სანავიგაციო მოწყობილობას, გემის მართვისა და ცეცხლის წარმოების სისტემას. რუსეთის წყალქვეშა ნავებსა და 1500-2500 ტონა წყალწყვის გემებს იგი იდეალურად უხდება. ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ერთობლივი საწარმო რუსეთთან, აღვჭურვოთ ჩვენი ელექტრონიკით წყალქვეშა ნავები და გავასაღოთ პროდუქცია სხვა ქვეყნებში“.

მოლდოვა და ნატო

ევროპის სამხრეთ ზონაში გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოადგილემ გენერალმა ანტოლიო მილანიმ, რომელიც ვიზიტად ჩავიდა მოლდოვაში, განაცხადა, რომ ნატოს ადმინისტრაცია არ აპირებს ჩაერიოს მოლდოვის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანის პროცესში, რადგან ეს პრობლემა შეიძლება მხოლოდ ორი სახელმწიფოს მთავრობათა დონეზე გადაიჭრას. 10 თებერვალს რუსეთში დაიწყება ნატოს სესია, რომელზეც განიხილავენ ახალ სტრატეგიას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მიმართ. ჩრდილოატლანტიკური ბლოკი დაინტერესებულია მოლდოვის არმიასთან თანამშრომლობით.

სამხედრო ექიმები თანამშრომლობენ

ბელარუსის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ ჰოსპიტალსა და სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებებში მუშაობას შეუდგა ამერიკელ სამხედრო ოფთალმოლოგთა ჯგუფი. ბელარუსის სამხედრო-სამედიცინო დაწესებულებათა მდგომარეობის შესწავლის შემდეგ ამერიკელი კოლეგები დახმარებას გაუწევენ მათ მედიკამენტებითა და ჰოსპიტლის მოწყობილობით. ბელარუსის არმიის ექიმები ამერიკელებს გაუზიარებენ საველე და სტაციონარულ პირობებში მკურნალობის გამოცდილებას.

ლეიტენანტი — მილიონერი!

ახალგაზრდა ლეიტენანტის ანატოლი რიმაშევსკის მამაცობა ბელარუსის თავდაცვის სამინისტრომ მოგილიოვის ოლქის ტერიტორიაზე მეორე მსოფლიო ომის დროინდელი 457 ნაღმის ამოღებისა და გაუვნებლებობის დროს ფულადი ჯილდოთი აღნიშნა. ყველაზე დიდი „ნაპოვნი“, რომლის შემდეგ ოფიცერს გადაეცა მილიონიანი პრემია, გახდა საწყობი ბიხოვის რაიონის სოფელ კუზკოვიჩში. აქ ინახებოდა 42 საარტილერიო ჭურვი, 217 ნაღმი და 61 ხელყუმბარა. ლეიტენანტი რიმაშევსკი თავის ჯგუფთან ერთად სამ დღეს მუშაობდა, სანამ უსაფრთხო ადგილას არ გაიტანეს და არააფეთქეს უკანასკნელი ჭურვი.

შენ რას იტყვი, ჯარისკაცო?

გაბაზრებული საზღვრები

ანუ, მართლაც, ყველაფერს საზღვარი აქვს

ბოლო ხანს ქართველებმა (ეს უკვე მერამდენედ) ქვეყნისთვის კიდევ ერთ, მეტად ხელსაყრელ და სარფიან საქმეს მოვკიდეთ ხელი — სახელმწიფო საზღვრების გასწვრივ ბაზრები გავხსენით...

როგორ? ასე: უკომერციოდ და უბიზნესოდ საბაზრო ეკონომიკა რა ეკონომიკაა?! თანაც, ქვეყანა რა პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოდელსაც უნდა აშენებდეს, საზღვრები და მათი დაცვა აუცილებლად სჭირდება.

ქართველები, მრავალჯერ გვითქვამს, ნიჭიერი ხალხი ვართ და ყოველნაირი საქმეც გამოგვდის ხელიდან. ამიტომაც, როგორც კი დამოუკიდებელი სახელმწიფო გავხდით (ყოველ შემთხვევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უკვე ასეთად გვცნო) და საკუთარი საზღვრების დაცვას თვითონვე მოვკიდეთ ხელი, მაშინვე მესაზღვრე-მებაჟეობას მებაზრეობაც შევუთავსეთ, მეზობელ რესპუბლიკებში გასასვლელ გზებზე ხერგილებისა თუ გამშვები პუნქტების ნაცვლად სახელდახელოდ ბაზრები („ტალკუჩკები“) გავხსენით, და პირდაპირ საზღვრიდან დავიწყეთ ახალი ეკონომიკური აზროვნებით მუშაობა.

ზოგადად რომ არ ვილაპარაკო, ფაქტებსაც მოვიხმობ, უფრო სწორად, თქვენთან ერთად რამდენიმე წუთით გავჩერდები საზღვართან. სად? თუნდაც გარდაბნის რაიონში. სოფელ ვახტანგისში საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან. აქ უფრო აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარია, ვიდრე საქართველოსი (ხერგილებით, მესაზღვრე-მებაჟეებითა თუ სხვა ატრიბუტებით), ჩვენს მხარეს კი ყველაფერი ერთმანეთშია არეულ-აზელილი...

ნუ გგონიათ იარაღიანი ხალხი არ იცავდეს საზღვარს. არა, ბატონო, ფარაჯიან-ავტომატიანი კაცების ნახვა აქ არ ჭირს (ღვთის მადლით, მათ დანახვას თბილისის ცენტრალურ ქუჩებშიც შეეჩვია თვალი, თორემ აქ...), თუმცა მილეთის ხალხში მესაზღვრეების გამორჩევა ნამდვილად გაგიჭირდებათ, რადგან ყველა ვაჭრობით არის გართული; ხალხი ფულსაც შოულობს და საზღვარსაც იცავს! დიახ, ყველა ერთად აკეთებს ფულს, ყველა ერთად იცავს საზღვარს.

შორნით კი აქ ყველაფერი იშოვება და იყიდება — ნარკოტიკები გნებავთ თუ თბილისში გამომცხვარი პურ-ლავაშეული! ჩუმად მაგრამ ყველას თვალწინ იცვლება ავტომანქანაზე, ვალუტაზე ან სხვა ძვირფასეულობაზე ნარკოტიკები. პური ზედ გზაზეა გამოფენილი, ყიდის ყველა — აზერბაიჯანელიცა და ქართველიც, აისორიცა და... ჩვენ კი თბილისიდან თუ თელავიდან ვყვირით — სად მიდის ამდენი პური, სად მიდის? აქ კანონის ერთი „პატარა“ დარღვევაც ხდება. კუპონს, როგორც რესპუბლიკაში ერთადერთ საგადამხდელო საშუალებას ბაზრობაზე არ სცნობენ. ვაჭრობენ რუსული მანეთით, აზერბაიჯანული მანეთითა და აშშ დოლარებით.

აზერბაიჯანის მხრიდან გამოჩენილი მანქანა თითქმის ყოველთვის „პატარა“ აყიოტაჟს იწვევს, ვინ „კანისტრით“ გამორბის, ვინ — ავტომატით.

მძღოლი ოქროს კბილების ციალით ჯარისკაცების ნებისმიერ სურვილს უსიტყვოდ და „ხალისით“ ასრულებს. კარტოფილით გატენილ საბარგულში ბიჭები სახეიროს რომ ვერაფერს პოულობენ, ამ სანატრელი სურსათით ცელოფნის პარკს ავსებენ და მანქანის პატრონს დასცინიან და უბოდიშოდ შორდებიან. სამშვიდობოზე დარჩენილი აზერბაიჯანელის მლიქვნელურ-ფარისევლური სიცილი ირონიულ ღიმილად იქცევა და ისიც თავის ქნევით გასცქერის იქვე ქართული დროშით დამშვენებულ ვაგონში შეყუჟულ „მესაზღვრე“ ჯარისკაცებს.

აქეთაც, ისევე, როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გზაზე უამრავი იარაღიანი „ხარკის ამკრეფი“ დგას — პოლიცია, სამხედროები თავს მოპიკეტეებად რომ ასაღებენ და არაფრის სანაცვლოდ ფულს ითხოვენ.

განმკითხავი?!

ეს უპატრონო ქვეყანაა!

სოფელ ვახტანგისიდან საგანგებოდ ერთ აზერბაიჯანელს ვთხოვე მანქანით გარდაბნამდე წავეყვანე... (როგორც ამბობენ, მათზე აქ ნადირობაა, რადგან ისინი ჩვენთან ძირითადად სავაჭროდ ჩამოდიან და ფულიც აქვთ). ეჭვის თვალით შემომხედა, უარიც ვერ გაბედა. შეეშინდა, მაგრამ რაღას გახდებოდა. ჩვენს ტერიტორიაზე იარაღიან ხალხთან ვიდექი და იძულებით დამთანხმდა. რუსთავამდე ვიმგზავრეთ. მაგრამ ამას მგზავრობა პირობითად ჰქვია. თოფიანი „პირები“ წამდაუწუმ გვაჩერებდნენ, ამ კაცს მანქანით თითქმის არაფერი მიჰქონდა, ახლობელთან სტუმრად მოდიოდა. ამდენად, აქაური კანონების თანახმად, მისთვის არც არაფერი უნდა წაერთმიათ, მაგრამ ნურას უკაცრავად. ყოველი უშედეგო ჩხრეკა ჩვენთვის უკვე ნაცნობი ფრაზით მთავრდებოდა. „მამედ ტეპერ დენგი დავაი“

ვიცოდი, გზებზე რაც ხდებოდა. აქეთაც ბევრჯერ მიმგზავრია, მაგრამ თუ სტუმრებს ასეთ დღეში აგდებდნენ, ვერ წარმოვიდგენდი. ასე პოლიციელი და ჯარისკაცი კი არა, სხვა ქვეყნებში შარაგზის ყაჩაღებიც არ მოიქცევიან.

საზღვარი, როგორც ამბობენ, ქვეყნის სადარბაზო ბარათია და ჩვენზე პირველი შთაბეჭდილებაც უცხოს სწორედ აქედან ექმნება. მერე თანდათან გზაზეც ილრმავებს ცოდნას ჩვენს შესახებ და სანამ ხელს ჩამოგვართმევდეს, ხვდება, რა ხალხიც ვყოფილვართ, ამიტომაც აღარ გვიმტერევენ კარებს და აღარც განთქმულ-გაბუქული ჩვენი სტუმართმოყვარეობა სწამთ...

X X X

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურმა ეს-ესაა გამოსცა ბრძანებულება ავტომაგისტრალებზე სახელმწიფოებრივი წესრიგის შესახებ, რომელშიც კონკრეტული ღონისძიებებია დასახული მდგომარეობის რადიკალურად შესაცვლელად, და თითქოს აღარც უნდა დამეწერა ეს წერილი. მაგრამ, ჯერ ერთი, ამ ბრძანებულებას შესრულება სჭირდება და, მეორეც, ჩვენს მესაზღვრეებს მინდა შევეკითხო — ხომ არ მიაჩნიათ მათ, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ არ ეხებათ ამ პრობლემის გადაწყვეტა, მაინც მათი აქტიური მონაწილეობის გარეშე ეს საქმე ვერ მოგვარდება!

შოთა მაჭარაშვილი



სასაზღვრო ჯარების სასწავლო ცენტრი

ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლონ ახალგაზრდა მებრძოლებმა, ნამდვილი მესაზღვრეები რომ გახდნენ. სასაზღვრო ჯარების ცენტრი ამზადებს კვალიფიცირებულ მესაზღვრეებს. ისინი სამხედრო სამსახურს აღმოსავლეთ საზღვარზე გაივლიან.

სასწავლო ცენტრის უფროსია ვიცე-პოლკოვნიკი ვალერი გომელოვი, მაღალი რანგის პროფესიონალი. იგი ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე მსახურობდა სასაზღვრო ჯარებში. შტაბის უფროსია, ასევე ყოფილი მესაზღვრე, მაიორი თამაზ კილაძე.

სურათებზე: მომავალი მესაზღვრეები ვარჯიშის დროს.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტორეპორტაჟი

ისტორიის ფურცლები

დღეიდან ვიწყებთ ქართული ჯარის შექმნასთან დაკავშირებული იმ მასალების პუბლიკაციას, რომლებიც თავის დროზე ქართულ პერიოდულ პრესაში იბეჭდებოდა. მკითხველი ამ წერილებში ბევრ ისეთ საკითხს იპოვნის, რომლებიც დღესაც აქტუალურია და ეგებ დღევანდელ საქმესაც წაადგეს.

რუბრიკას უძღვება ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი სულიკო ნუცუბიძე.

ჯარი და დისციპლინა

რეგულარული ჯარი აუცილებელი საჭიროებაა დღეს ჩვენი სახელმწიფოს არსებობისათვის და მისი ინტერესების დაცვისათვის. ჩვენი მთავრობა უკვე შეუდგა ამ საკითხის სისრულეში მოყვანას, მხოლოდ ეხლა კითხვა ისმება, თუ როგორი წესი უნდა იქნეს ჯარში და როგორი დისციპლინა უნდა შევქმნათ.

ჩვენ დავინახეთ თუ რა მოგვიტანა უდისციპლინობამ და რა შედეგი მოჰყვა მას. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რას მოგვიტანს ისეთი დისციპლინა, როგორიც წინათ იყო. ამისათვის საჭიროა სულ სხვა აზრის გატარებამ და უფრო შეგნებულად საკითხის გადაჭრა...

ჯარის შედგენისთანავე უნდა გამოიცეს შესაფერი კანონები და მასთან უნდა იქნეს გამოცემული სამეცადინო გეგმები და ფუნქციები, უნდა იყოს განსაზღვრული მეცადინეობის დროს და უნდა იცოდეს ყველამ თავისი მოვალეობა, როგორც უმცროსმა, ისე უფროსმა. ჯარის კაცს უნდა ჰქონდეს ის უფლება, როგორც ყველა მოქალაქეს, როდესაც ის სამხედრო სამსახურს არ ასრულებს. დანაშაულობისთვის ის უნდა ისჯებოდეს სასტიკად და არავითარი პატიება არ უნდა იყოს. ჯარისკაცი ენის შეუბრუნებლად უნდა ასრულებდეს უფროსის ბრძანებას, მაგრამ უნდა იყოს ისეთი ორგანიზაციაც რომელიც თვალყურს უნდა ადევნებდეს უფროსის ბრძანებას, რათა არ იქნეს შელახული დემოკრატიის ინტერესები. ჯარისკაცებმა უნდა იცოდეს რა დანაშაულობისათვის რა მოელის მას, და ან რა უფლება აქვს.

ჩვენ თუ გვსურს ჯარის შედგენა, კიდევაც უნდა მოვაწყოთ ისე, როგორც ჯარის უმეტესობა მოითხოვს, რათა ამით ხელი შეუწყოთ დემოკრატიის სურვილების განხორციელებას.

„ერთობა“,
1918 წ. 28 ივლისი

ქართველ ჯარისკაცებს!

თქვენი სამშობლო, საქართველო, განსაცდელშია! ყვავ-ყორნები თავს დასჩხავიან და მის დაწიწკნას ლამობენ. ყველა ერი შეერთდა, შენაწევრდა და შეიარაღდა თავდასაცავად, თქვენ კი, საქართველოს საუკეთესო შვილნი, სამშობლოს გარეთ იბრძვით.

მოუთმენლად მოგელით თქვენი გაპარტახებული, დაცარიელებული სამშობლო. გამოეშურეთ თქვენს საყვარელ საქართველოსაკენ და დაიფარეთ იგი კარზე მომდგარი განსაცდელისაგან!

ვისაც უყვარს თავისი თავი, თავისი ნათესავი, თავისი ტოლი და ამხანაგი და თავისი მშობელი ქვეყანა, ხმალი ქარქაშში არ ჩააგოს და ქართველ ჯარში ჩაეწეროს.

აწ საქართველოში დეზერტირი აღარ უნდა იყოს. ყველამ უნდა მოიხადოს ვალი სამშობლოს წინაშე. არავინ არ უნდა გაექცეს თავის მოვალეობას. ყველა მზად უნდა იყოს სამშობლოსათვის თავის შესაწირავად.

იმავე დროს ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ჯარში უპირველესად დისციპლინაა საჭირო. ნურავინ შეიტანს ქართველ ჯარში ბოლშევიკურ გამხრწნელ წესებს. ნურავინ მოინდომებს დისციპლინის შერყვნას! თითოეულმა ჯარისკაცმა ამ საერთო განსაცდელის დროს პირადი პატივმოყვარეობა უნდა დაივიწყოს და უფროსთა ბრძანებას უნდა დაემორჩილოს.

მაშ ისმინეთ საქართველოს ეროვნული საბჭოს ხმა და შემოკრბით მის გარშემო! ვინც სამშობლოსადმი მოვალეობას არ ასრულებს, ის გარეწარია და მას ქართველი ხალხი ეტყვის: დედის ტკბილი რძე შხამად შერგებიაო!

ვასილ წერეთელი

„საქართველო“, 1917 წ.
ქრისტეშობისთვის 22

დღეს ვაგრძელებთ იმ საწარმოების და დაწესებულებების, მოქალაქეების სიების გამოქვეყნებას, ვინც რესპუბლიკის თავდაცვის ფონდს შესწირა და სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მადლობა დაიმსახურა

სამშობლოს ძლიერებისთვის გაღებული წვლილი

ბოლნისის რაიონი

ბოლნისის კონტროლის პალატა	5000
აქაურთის მოსახლეობა	15000
ბოლნისის გამგეობა	50000
ბოლნისის მოსახლეობა	100000
ბოლნისის საკრებულო	50000
ბოლნისის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია	867
გუტას მოსახლეობა	40000
თამარისის გამგეობა	20000
თამარისის საკრებულო	40000
მამხუტის საკრებულო	136000
ნახიდურის გამგეობა	351854
რატევანისა და ზვარეთის მოსახლეობა	134000
რატევანის საკრებულო	20000
სამტრედიის საკრებულო	21210
ტალავერის მოსახლეობა	111200
ფოცხვერიანის მოსახლეობა	60500
ქვემო ბოლნისის საკრებულო	100000
ქვეშის, მუშევანი, ჯავშანიანის, კიანეთის მოსახლეობა	369200
ცურტავის საკრებულო	24750
ბოლნისის შსგ	145000
სოფლის მეურნეობის პროფკავშირების კომიტეტი	23000
ს. დარბაზის ამბულატორია	500
მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი	1105455
ღვინის ქარხნის თანამშრომლები	400000
საგზაო სამმართველო	2440
საგზაო უბანი	65100
ავტოსატრანსპორტო საწარმო	20000
არქივის თანამშრომლები	6000
სანეპიდსადგურის თანამშრომლები	8500
სოცუზრუნველყოფა	10000
აგრომრეწვბანკი	1000000
ბოლნისის ინდუსტრიაბანკი	56757
ბოლნისის ინდუსტრიაბანკი	250000
ბოლნისის ინდუსტრიაბანკი	300000
ბოლნისის ინდუსტრიაბანკი	50000000
ინდუსტრიაბანკი	500000
ფირმა „მარანი“	5000
ფირმა „ღრინცა“	10000
ერთი პირის საწარმო „ნიკა“	5000
ბოლნისის მეურნეობა	18500
სოფლნაყოფიერება	16000

გარდაბნის რაიონი

გარდაბნის რაიგამგეობა	100000
სსსგ „საქჰიდროენერგომშენის“ საიჯარო ასს-4	34348
სსსგ „საქჰიდროენერგომშენის“ საიჯარო ასს-4	120000
„საქენერგო“	40000
„სპეცჰიდროენერგომონტაჟის“ ფილიალი	1045905
საქენერგოთბორემონტი	81484
მრეწვმშენბანკი	403642
მრავალდარგოვანი ფირმა „კემი“	50000
ფირმა „კომპანიონი“	206000
კოოპერატივი „ასფალტი“	150000
გარდაბანი	621928
გარდაბანი	3950

გორი

დეტექტური საზოგადოება „დელტა“-ს გორის განყოფილება	100000
გორის ეკონომიკური ინსტიტუტი	57000
გორის ბინსოცბანკი	202360
გორის ბინსოცბანკი	491811
გორის ბინსოცბანკი	347284
კომერციული ფირმა „გიორგი“	50000
სპკ ფირმა „ხვავის“ გორის ფილიალი	100000
ფირმა „ჩაო“	100000

გურჯაანის რაიონი

კაჭრეთის რკინა-ბეტონის ქარხანა	500000
გურჯაანის აგრობანკი	160128
გურჯაანი	1645000

დედოფლისწყაროს რაიონი

დედოფლისწყაროს რაისაკრებულოს გამგეობა	6000
კავშირგაბმულობის დედოფლისწყაროს საწ. სამმართველო	166620
დედოფლისწყაროს პროპ. სას. საწ. „ქოჩები“	1000000
დედოფლისწყარო	170620

დმანისის რაიონი

დმანისის შსგ არასაუწყებო დაცვის ქვეგანყოფილება	100000
გაზის სამმართველო	50000
სატყეო მეურნეობა	50000

დუშეთის რაიონი

დუშეთის რაიფინგანი	500000
დუშეთის თავდაცვის ფონდი	57050

ზესტაფონის რაიონი

ზესტაფონის რაიფინგანი	786
№25 საგზაო უბანი	92427
ზესტაფონის რკინიგზის სადგური	8150
ზესტაფონის სალიანდაგო დისტანცია	45590
ზესტაფონის სალიანდაგო დისტანცია	107300
ზესტაფონის სატვირთო ასს	11975
ზესტაფონის სატვირთო ასს	26210
სამგზავრო ავტოკოლონა 2679	3963
ზესტაფონის ინდუსტრიაბანკი	2000

თეთრიწყაროს რაიონი

თეთრიწყაროს რაიონის ფიროსმანის საშუალო სკოლა	7700
სსუ „12	4500
თეთრიწყაროს აგრობანკი	24131
თეთრიწყაროს აგრობანკი	50858
თეთრიწყაროს სახ. ბანკი	75000
მანგლისი აგრომრეწვბანკი	10880

თელავის რაიონი

ფიზკულტურის კომიტეტი	300
თელავის ბინსოცბანკი	123200
მპს „სიხარული“	100000
მპს „ცილინდრი“	100000

თერჯოლის რაიონი

თერჯოლის ბინსოცბანკი	340

თიანეთის რაიონი

თიანეთის რაისაავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთ-ბა	8910
ფირმა „ლეგი“	100000

კასპის რაიონი

კასპის რაიონის ქალთა საბჭო	15000
ოკამის ღვინის ქარხანა	1000000
სპგ კასპი-ცემენტი	2750934
კასპის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზა	30000
კასპის ინდუსტრიაბანკი	1000000

ლანჩხუთის რაიონი

ლანჩხუთის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია	1436
ლანჩხუთის აგრობანკი	5000
ლანჩხუთის საწარმო „მართვე“	10000
ლანჩხუთის მეთევზეობის მეურნეობა „გურია“	10000

ლენტეხის რაიონი

განათლების განყოფილება	3570
ლენტეხის საშუალო სკოლა	11800
ლენტეხის მოსახლეობა	297000

სატვირთო ასს	500 000
საწარმო „მომსახურება“	100 000
ქ. ქართლის ელექტროქსელი	63773
მარნეულის აგრობანკი	287470
ეპს „ბაზიმა“	50 000
ფირმა „თეონა“	11 000
მარნეული	300 000
მარნეული	200 000
მარნეული	150 000
მარნეული	8747
მარნეული აჯკ 2664	50 000
ალმამედლოს მეკარტოფილეობის მეურნეობა	24000000
მეურნეობა „გამარჯვება“	5000000

მცხეთის რაიონი

გარემოს დაცვის მცხეთის რაიონული კომიტეტი	375
გარემოს დაცვის მცხეთის რაიონული კომიტეტი	374
გარემოს დაცვის მცხეთის რაიონული კომიტეტი	772
ეროვნული ბანკი	107073
საუწყებო გასამხედროებული დაცვის სამსახური	29213
მექანიზაციის და ელექტროფიკაციის ს.კ. ინსტიტუტი	50739
ექსოვრისის საშუალო სკოლა	9945
საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველო	71471
№31 საგზაო-საექსპლოატაციო სამმართველო	2197
№31 საგზაო-საექსპლოატაციო სამმართველო	25424
ა. კ. 2687 აგროტრანსი	50 000
ქსნის საწ. კომბინატი	50 000
ძეგვის სამშ. ქვის და ინს. მას. საწ.	100 000
მცხეთის აგრობანკი	500 000
მცხეთის აგრობანკი	40 000
მცხეთის აგრობანკი	150 000
მცხეთის არომრეწვბანკი	20 000
ავეჯის სალონი	9000
ეპს „მშენებელი“	8302
ხის დამამუშავებელი მცირე საწარმო „ბაგინეთი“	50 000
ს. კ. ინსტიტუტის სამეცნიერო-საწარმოო ბაზა	50 000
მეცხ. პროდ. ნედლ. საწ.	100 000
მცხეთის სოფლტექსერვისი	40 000

ნინოწმინდის რაიონი

უგმაშინის საშუალო სკოლა	2000

ოზურგეთის რაიონი

ოზურგეთის ბინსოცბანკი	625 000
მრავალდარგოვანი ფირმა „ტბა“	500 000
ფირმა „ციტრონი-92“	200 000

ონის რაიონი

განათლების განყოფილება	15805
ონის რაიონის გამგეობა	6498
ონის რაიფინგანი	400
სოცუზრუნველყოფის განყოფილება	614
სოცუზრუნველყოფისა და სამედ. დაზღვ. ერთიანი ფონდი	514

გაგრძელება იქნება

ინფორმაცია 93

თავდასხმა პოლიციის განყოფილებაზე

დედაქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოდან საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, რომ 23 დეკემბერს, საღამოს დილმის მასივის მეორე კვარტალში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდუბის პირველ ქვეგანყოფილებას თავს დაესხა სამხედროფორმიანი რამდენიმე შეიარაღებული პირი. ორმხრივი სროლის დროს დაიჭრა შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მუშაკი ზურაბ დემეტრაშვილი და კომერციული ჯიხურის გამყიდველი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ამხილეს დანაშაულზე

ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლმა ჯგუფმა მომხმარებლის ზომაწონაში მოტყუების ფაქტზე ამხილა თბილისის 56 პურის მაღაზიის გამყიდველი ქ. ბზიშვილი. მან მოქალაქეს პურის ბარათის გარეშე მიჰყიდა 9 კგ „ბერძნული ლავაში" და 700 კუპონი ზედმეტი გადაახდევინა.

პური ჩამორთმეულია და მაღაზიას დაუბრუნდა.

„იბერიის" ლენტიდან

არძინბა გვემუქრება

გუდაუთის რადიოთი გამოსვლისას აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ვლ. არძინბამ განაცხადა, რომ თუ საქართველო კვლავ შეეცდება შეიარაღებული ძალით შეიჭრას აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაშინ აფხაზური არმია საბრძოლო მოქმედებებს გაშლის თვით საქართველოს ტერიტორიაზე და მივა თბილისამდე.

●

დამნაშავენი დაისჯებიან

„მხედრიონის" ლიდერმა ჯაბა იოსელიანმა უცხოეთის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში გამოთქვა აღშფოთება „მხედრიონის" წევრების ზაზა ვეფხვაძისა და გიორგი სვანაძის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის გამო და განაცხადა, რომ დამნაშავენი აუცილებლად უნდა დაისაჯონ და დაისჯებიან კიდეც.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

მუშავდება რამდენიმე ვერსია, მათ შორის, რომ ეს ტერორისტული აქტი განახორციელეს ექსპრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეებმა.

●

რა გზით დავბრუნდით?

აფხაზეთის გათავისუფლების ორგანიზაციის (ასე ეწოდება ამჟამად აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭოს) ბოლო სხდომაზე გამოითქვა სერიოზული შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლება არაფერს აკეთებს ასიათასობით ლტოლვილის სამშობლოში დასაბრუნებლად. არის მხოლოდ დაპირებები.

აფხაზებთან მოლაპარაკების გზით ჩვენ აფხაზეთში ვერ დავბრუნდებით, — ითქვა სხდომაზე.

კომიტეტი მოითხოვს ე. შევარდნაძისაგან სპეციალური საპარლამენტო სხდომის ჩატარებას აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, რომელზედაც ბოლოს და ბოლოს უნდა ითქვას სრული სიმართლე — თუ ვინ და რა მიზნით დაიწყო ეს ომი და რატომ დამარცხდა საქართველო.

●

ქვეყნის სახე

„იბერიას" კორესპონდენტს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ განუცხადა, რომ მას ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია პარლამენტის დისკრედიტაციის მცდელობა.

„ამ პარლამენტმა უმძიმეს პირობებში 48 კანონი და 303 დადგენილება მიიღო. გარდა ამისა, პარლამენტი ქვეყნის სახეა და მის გარეშე დემოკრატიაზე ლაპარაკიც ზედმეტია. რაც შეეხება პარლამენტის გარეკვის მცდელობას, ამაზეც ლაპარაკობს ზოგიერთი, მაგრამ ეს წინასწარ განწირული ცდაა, რადგან საქართველო რუსეთი არ არის და არც ჩვენი პარლამენტია რუსეთის უზენაესი საბჭო", — განაცხადა ვ. გოგუაძემ.

— სად არის გაჩეჩილაძე? გვწერენ, გვეკითხებიან მკითხველები. ალექსანდრე გაჩეჩილაძე, მეცნიერი-ბიოლოგი, პრეპარატ „კატრექსის" ავტორი, ერთ დროს აღზევებული ისევე მოულოდნელად გაქრა „სარეკლამო სტენდიდან", როგორც გამოჩნდა. სად არის გაჩეჩილაძე? მის სახელს ხომ არ გადააყოლეს „კატრექსიც". როგორც იქნა, ადრესატს ნუცუბიძის ქ. № 127-ში მივაკვლიეთ.

ვნახოთ, ყვავებს ვინ დაიჭერს...

კიდევ ერთხელ „კატრექსსა" და მის ავტორზე

მილიცია-პროკურატურისა გ ა ნ უსამართლო დევნამ და საკვლევი ლაბორატორიის რბევამ პრეპარატს ვერაფერი დააკლო. იგი კვლავ მზადდება სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კატრექსში", მაგრამ განვლილმა პერიოდმა, ოფიციალური მედიცინის შემოტევებმა ღრმა კვალი დაამჩნია მის ავტორს.

გულგატეხილი და არა გულგრილი, მოღლილი და არა ხელჩაქნეული მაინც იღვწის, მაინც გატაცებით საუბრობს იმ თემაზე, რომელსაც სიცოცხლის ნახევარი უშურველად შეალია.

80-იან წლებში ბევრი რამ ითქვა და დაიწერა „კატრექსზე", იმაზე თუ რამ მიიყვანა მეცნიერი დასკვნამდე, რომ სახელდობრ, შავი ზღვის ზვიგენის „კატრანის" ღვიძლი გამოდგებოდა კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატის დასამზადებლად.

სწორედ იმდროინდელი პრესა აწვდიდა მკითხველს ინფორმაციას, რომ „კატრექსი" ეფექტიანი პროფილაქტიკური საშუალებაა, უვნებელი ტკივილგამაყუჩებელია.

მართალია, ბევრს „კატრექსი" მხოლოდ კიბოს საწინააღმდეგო საშუალებად მიაჩნია, მაგრამ „შორს წასული" ჰაიმორიტით, პაროდონტოზით, ფსორიაზით დაავადებულნი ადასტურებენ, რომ პრეპარატმა განკურნა ან საგრძნობლად გააუმჯობესა მათი მდგომარეობა.

30-წლიანი სამეცნიერო კვლევის შედეგები, მის მიერ შექმნილი პრეპარატის „ბიოგრაფია" სრულად აისახა სამეცნიერო-პოპულარულ წიგნში, რომელსაც ალექსანდრე გაჩეჩილაძე მალე მიაწვდის დაინტერესებულ მკითხველს.

— როგორც ცნობილია, „კატრექსი" აჩერებს ანთებით პროცესს, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, აძლიერებს იმუნიტეტს. პრეპარატის ამ ღირსებებს თუ ჩავუღრმავდებით, თითქოს შიდსის პრობლემის გადაჭრის გზაზე დგახართ. ასეა?

— მერე და, ამაზე დაფიქრებულა ვინმე — კითხვას კითხვითვე უპასუხებს ბატონი ალექსანდრე. — უმრავლეს შემთხვევაში კიბოს განვითარებას წინ უძღვის იმუნოდეპრესია და მისი შედეგი — ქრონიკული ანთებითი პროცესები. კიბოს საწინააღმდეგო ბრძოლისას მთელი ძალები მიმართულია სიმსივნის ზრდის შეჩერებაზე. დანარჩენი — იმუნოლოგიური თუ სისხლის სურათები ყურადღების მიღმა რჩება.

ამ დროს რა უფრო მნიშვნელოვანია, ორგანიზმის იმუნოლოგიური სტატუსის აღდგენა თუ უჯრედის დაყოფის ტემპის შეჩერება?. ალექსანდრე გაჩეჩილაძე პირველს ანიჭებს უპირატესობას, ოპონენტები — მეორეს.

— ონკოლოგიაში ყველა მიმართულება პრაქტიკულად შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს. კიბოს საწინააღმდეგო წამლის ძიება და კიბოს პრობლემის გადაწყვეტა. მეცნიერთა ძალები ამ ორი ხაზით არის მიმართული. რა თქმა უნდა, მე მეორე მიმართულების მომხრე ვარ, რადგან ჩვენ ჯერ არ ვიცით რა არის კიბო, — ამბობს მეცნიერი. — როცა კიბოზეა ლაპარაკი, პათოლოგიის მთელი გვირგვინი უნდა წარმოვიდგინოთ, ეს არის დაბალი იმუნური სტატუსი, ქრონიკული ანთებითი პროცესები, სისხლის დარღვეული სურათი, ტკივილის სინდრომი. უნებურად იბადება კითხვა — მთელი მსოფლიოს ონკოლოგები რატომ კარგავენ კოლოსალურ დროსა და ენერგიას, სახსრებს, იმ სამკურნალწამლო საშუალებების შესაქმნელად, რომლებიც პრაქტიკულად აჩერებენ უჯრედების დაყოფას? ჩემი აზრით, პრობლემის გადაჭრისათვის მნიშვნელოვანია არა კიბოს საწინააღმდეგო სამკურნალწამლო საშუალებების ემპირიული ძიება, არამედ ავთვისებიან პროცესში იმუნიტეტის, ტკივილის, უჯრედის დაყოფის და სხვა თვისებების ადგილის განსაზღვრა. დიახ, სანამ თავის ადგილს არ მოვუძებნით ზემოაღნიშნულ მოვლენებს, ვერასდროს გადავწყვეტთ კიბოს პრობლემას. მით უმეტეს, უკანასკნელ წლებში გავრცელდა აზრი, რომ კიბო იმდენი ფორმისაა, რამდენიც ავადმყოფია. ამქვეყნად ორი ერთნაირი ორგანიზმი არ არსებობს და სხვადასხვა ორგანიზმს სხვადასხვა რეაქცია აქვს როგორც დაავადებაზე, ასევე, წამალზეც. „კატრექსი", რომელიც ეფექტიანი პროფილაქტიკური საშუალებაა, ორგანიზმის ნორმალური ფუნქციების შესანიშნავი მარეგულირებელია, პერსონალური პრეპარატის შექმნის პერსპექტივასაც გვაძლევს. ჩემი აზრით, კონკრეტულმა ავადმყოფმა კონკრეტულ მომენტში კონკრეტული პრეპარატი უნდა გამოიყენოს.

სტერეოტიპული აზროვნება იმდენად შეუვალია, რომ კიბოს პრობლემისადმი ა. გაჩეჩილაძის არასტანდარტული მიდგომა, სამწუხაროდ, ვერაფერს აკლებს და მეცნიერთა შორის სამი ათეული წელია გრძელდება დავა.

აშკარაა, უმძიმს ბატონ ალექსანდრეს წარსულზე საუბარი, თავს არიდებს იმათ დასახელებასაც, ვინც სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კატრექსის" ხელმძღვანელის არაერთგზის თხოვნა უპასუხოდ დატოვა. ჯერჯერობით მხოლოდ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტი უდგას მხარში. არადა, მხარდაჭერის გარეშე მის ახალ სასიკეთო ჩანაფიქრსაც გაუჭირდება რეალიზება.

— თუ მხედველობაში მივიღებთ 30 წლის მანძილზე შეკრებილ კლინიკურ თუ თეორიულ მასალებს, ვფიქრობ, რომ სწორ გზაზე ვდგავარ. ცნობილი ინგლისელი ეთნოგრაფი ჯეიმზ ფრეიზერი წერდა: „მედეა იაზონს გასაახალგაზრდავებლად ძარღვებში უსხამდა ბებერი ირმისა და ბებერი ყვავის სისხლს". ხედავთ, საიდან მიდის იმუნოლოგიის ფესვები? მეც ყვავებით დავინტერესდი და მივიჩნიე, რომ პრეპარატის პერსონალიზაციისათვის ამის გაკეთება აუცილებელია.

— ზვიგენს თქვენთვის მეთევზეები იჭერენ, ყვავებს ვინ დაიჭერს?

— პირველად გლდანის სანაგვეზე თანამშრომლებთან ერთად წავედი. ლუმინალიანი ფარში დავყარე და ნახევარ საათს შორიდან ვუთვალთვალე, მხოლოდ ერთი ყვავი მოფრინდა, სხვები არ მიკარებიან. ჯერ ერთი ულუფა მიირთვა, — არაფერი, მერე—მეორე და... მოცელილივით დაეცა, დანარჩენები გაფრინდნენ. საოცრება ის იყო, რომ ყვავებს „დეგუსტატორად" ფრთამოტეხილი და ფეხმოტეხილი ყვავი გამოუშვიათ.

— ყვავების „წინდახედულება", პრობლემებს ხომ არ შეგიქმნით?...

— ყველაზე დიდი პრობლემა იმ სახსრების უქონლობაა, მათ დაჭერას რომ სჭირდება.

ჩვენში ქველმოქმედება ისეა გავრცელებული, ერის წყლული იმდენ ბიზნესმენს აჩნია გულზე წყლულად, რომ ყვავებსაც „დაუყვავებენ" და გაერთიანება „კატრექსსაც" „აყვავებენ". მაგრამ...

როცა ქართველი მეცნიერი კიბოს პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზას გვთავაზობს, მხარდაჭერასა და თანადგომას ითხოვს, ჰიპოკრატეს ფიცით შეკრულ სამედიცინო საზოგადოებას დაფიქრება, ხოლო სახელმწიფო სტრუქტურებს გულისხმიერება მართებთ, რადგან კიბო მხოლოდ ავადმყოფთა პრობლემა არ არის.

ლეილა კოშკაძე.

ხსოვნა

ნუგზარ ჯიქია

გარდაიცვალა ინსტიტუტ „საქსახგზაპროექტის" საგზაო განყოფილების ჯგუფის უფროსი ნუგზარ ვახტანგის ძე ჯიქია.

დაიბადა 1951 წელს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მან მთელი თავისი საქმიანობა დაუკავშირა საპროექტო ინსტიტუტ „საქსახგზაპროექტს".

იგი იყო მაღალკვალიფიციური ინჟინერი, რომლის უშუალო მონაწილეობით დაპროექტებულია რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზის არა ერთი მონაკვეთი.

ნ. ჯიქია ინსტიტუტის თანამშრომლებში ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა. წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მოქალაქე, გულისხმიერი მეგობარი, რომლის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ახლობლებისა და მეგობრების გულში.

ინსტიტუტი „საქსახგზაპროექტი".

„ცეკავშირის" გამგეობა სამძიმარს უცხადებს ტრაგიკულად დაღუპული ქართველი ვაჟკაცების, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეების **ზაზა ვეფხვაძისა** და **გიორგი სვანაძის** ოჯახებს, ასევე ქართველ მაშველთა კორპუსსა და „მხედრიონს" — ზაზასა და გიორგის მეორე ოჯახს, რომლის შექმნასა და ქართული მხედრული სულის აღზევებაში დიდი წვლილი მიუძღვით არაკაცთა ხელით მოკლულ ჩვენს მეგობრებს.

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული ხელოვნების ცნობილი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე

სიმონ (სისო) კინწურაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რატომ არ მოგდით გაზეთი?

საწვავის დეფიციტის, ელექტროენერგიის არასტაბილური მოწოდების, უამინდობის, სარკინიგზო და საავიაციო ტრანსპორტის შეფერხებული მოძრაობის გამო რესპუბლიკის მოსახლეობას დროზე ვერ ვაწვდით გაზეთებს. გარდა ამისა, კავშირგაბმულობის სამინისტროსაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გამომცემლობა „სამშობლო" ჟურნალ-გაზეთებს ბეჭდავს შემცირებული ტირაჟით. მაგალითად, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", რომლის ხელმომწერთა რაოდენობა 64 ათასია და უნდა დაიბეჭდოს 85 ათასი მაინც, იბეჭდება მხოლოდ 15-20 ათასის რაოდენობით „სვობოდნაია გრუზია" ნაცვლად 12 ათასისა — 5 ათასი, „თბილისი" შესაბამისად 20 და 5 ათასი.

ამიტომაა, რომ ხელმომწერთა დიდი ნაწილი ვერ ღებულობს კუთვნილ გაზეთებს, რისთვისაც სამინისტროს ხელმძღვანელობა ბოდიშს უხდის მათ და სთხოვს ყველა დაინტერესებულ უწყებას მიიღოს საჭირო ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

კავშირგაბმულობის სამინისტრო.



ქართველი სპორტსმენი მსოფლიოს საუკეთესო ათეულში

ეს-ესაა დასრულდა მსოფლიოს 47-ე ჩემპიონატი კულტურიზმში მოყვარულთა შორის. სამხრეთ კორეაში, სეულში გამართული ეს ასპარეზობა „ბოდი-ბილდინგის" — „სხეულის მშენებლობის" მილიონობით მოყვარულის ყურადღების ცენტრში იყო. მით უფრო სასიხარულოა, რომ ჩვენი თანამემამულე, 21 წლის ზურაბ ნებიერიძე პლანეტის ათ საუკეთესო კულტურისტთა შორის მოხვდა. საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა ასეთი რანგის შეჯიბრებაში და — ქართველი სპორტსმენის ეს გამარჯვებაც პირველია. დაიხსომეთ ეს სახელი — ზურაბ ნებიერიძე, მან დაუდო სათავე ჩვენი კულტურისტების მომავალ გამარჯვებებს.

კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი მოხდა სეულში, სადაც კულტურიზმის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე ჩვენი ქვეყანა ამ ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად მიიღეს. ისიც ვთქვათ, რომ ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩვენი თანამემამულის გამარჯვებამ — კულტურიზმის სამყარომ აღმოაჩინა საქართველო.

ჩემპიონატის მონაწილეთა საშუალო ასაკი 35 წელი იყო. ეს, უპირველეს ყოვლისა, სპორტსმენთა გამოცდილების, სპორტის ამ სახეობაში მათი წვრთნის, შეჯიბრებებში ხშირი გამოსვლების მანიშნებელია. ზურაბ ნებიერიძე ასაკითაც და, რა თქმა უნდა, გამოცდილებითაც ახალბედა იყო. დავუმატოთ ამას ისიც, რომ იგი მარტო საასპარეზოდ არ იყო ჩასული, სეულის კონგრესზე იგი ჩვენს ქვეყანას წარმოადგენდა.

სამხრეთ კორეაში ზურაბ ნებიერიძე სამოყვარულო ტრადიციის სრული დაცვით გაემგზავრა, ანუ — საკუთარი ხარჯით. მართალია, სეულში საერთაშორისო ფედერაციამ ყველა მისი ხარჯი, ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ვოლკერ ჰილში" ცხოვრების ჩათვლით თავის თავზე აიღო, მაგრამ ეს იყო ნიჭიერი სპორტსმენის მატერიალური მხარდაჭერის, წახალისების აქცია, ესე იგი, გამონაკლისი და არა მიღებული წესი.

— სამწუხაროდ, — გვითხრა საქართველოში დაბრუნების შემდეგ ზურაბ ნებიერიძემ, — საქართველოს კულტურიზმის რესპუბლიკურმა ფედერაციამ ვერ შეძლო სახსრების გამონახვა, რომ ჩემს გარდა სხვა სპორტსმენებიც ჩასულიყვნენ სეულში. დღევანდელ პირობებში ეს ყველასთვის გასაგები პრობლემაა. მაგრამ, აი, რატომ იყვნენ იმის წინააღმდეგი, რომ მე, ჩემი ხარჯით გამგზავრებულიყავი, ჩემთვის გაუგებარია. მიმტკიცებდნენ, რომ აუცილებელი იყო ჩემთან ერთად საქართველოს დელეგაციაში ფედერაციის წარმომადგენელიც ყოფილიყო და ამ დროს ერთი კაცის გამგზავრებისთვის საჭირო თანხაც არ გააჩნდათ. მაშასადამე, მეც თბილისში უნდა დავრჩენილიყავი და, ვინ იცის, კიდევ როდისთვის გადაიდებოდა საქართველოს გასვლა საერთაშორისო ასპარეზზე. მადლობა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ზაზა ჯაფარიძეს, რომელმაც სარეკომენდაციო წერილი გამატანა ლიტვის დელეგაციის ხელმძღვანელობასთან. ამ ქვეყნის კულტურიზმის ფედერაციის პრეზიდენტმა რომანის კალაუსკასმა წარმადგინა შეჯიბრებაზე და მისი შუამდგომლობით მივიღე ასპარეზობის მონაწილის სტატუსი.

პირველად

— მსოფლიო პირველობისთვის, — თქვა შემდეგ ზურაბ ნებიერიძემ, — დამოუკიდებლად ვემზადებოდი. მაგრამ არ შემიძლია მადლიერებით არ მოვიხსენიო ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის „ვერეს" დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი, რომელმაც მეც და საქართველოს კულტურისტების ნაკრებს საშუალება მოგვცა სამი წლის მანძილზე უფასოდ გვესარგებლა კომპლექსის სპორტული დარბაზებით. მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს პირველ მწვრთნელს ზურაბ აბაშიძეს, რომელმაც კულტურიზმის ანბანი შემასწავლა.

იქ, სეულში ზურაბ ნებიერიძეს იდეალურად განვითარებულ ორთავა კუნთებს სპორტსმენებმაც და მსაჯებმაც ჯეროვანი შეფასება მისცეს. ქართველი სპორტსმენით დაინტერესდა „ბოდი-ბილდინგის" მამამთავარი ვაიდერი, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს ასპარეზობას. ზურაბ ნებიერიძე მან კანადაში საასპარეზოდ მიიწვია.

თენგიზ ჩხიკვაძე.

სურათზე: ზურაბ ნებიერიძე და მისი ძმა დათო ვარჯიშის დროს.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

გამარჯობა „ჯორჯიან თაიმს"!

ამ დღეებში გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის" პირველი ნომერი, რომელშიც, ვფიქრობთ, საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალებია გამოქვეყნებული.

ჩვენი რთული დროის პოლიტიკური პროცესები, ეკონომიკური პრობლემები, ლიტერატურა და ხელოვნება, ჩვენი ისტორიის გაკვეთილები და სამომავლო პროგნოზები, ბიზნესი, სპორტი და ა. შ. და ა. შ. — აი, „ჯორჯიან თაიმსის" ინტერესთა სფერო.

ახალი გაზეთის ეს ნომერი თავს თავიდან ბოლომდე გვაკითხებს! ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ მას მთლიანად ახალგაზრდული კოლექტივი — აშკარად ნიჭიერი კოლექტივი — ქმნის.

გამარჯობა „ჯორჯიან თაიმს"!



რუბრიკას ხელმძღვანელობს შოთა ინწკირველი

ზუგდიდის ბავშვთა საჭადრაკო სკოლის შემქმნელი ოსტატობის კანდიდატი ნუგერი შოგირაძე 50 წლისაა. მისი აღზრდილები (თორია, ჰურღულია, დგებუაძე და სხვ.) წარმატებით მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატებში. ეს ნიჭიერი და პატიოსანი კაცი გაჭირვების დროსაც კი არ წყვეტს ბავშვებთან მუშაობას. ვნახოთ საქართველოს პირველობაზე გათამაშებული საინტერესო მინიატიურა.

შოგირაძე-ჩახოიანი. ალიოხინის დაცვა. ახალქალაქი, 1971 წელი. 1. e4 მf6 2. e5 მd5 3. c4 მb6 4. d4 d6 5. ed cd 6. მc3 g6 7. კe3 კg7 8. მf3 0—0 9. კe2 მd7? (უკეთესი იყო 9. ...კg4) 10. 0—0 b6 11. ეc1 კb7 12. ლd2 ეe8 (ჯობდა 12. ...e6) 13. d5! a5 14. კh6 კh8 15. მd4 ალბათ, შავების პოზიცია სტრატეგიულად უკვე წაგებულია. 15. ...მa6 16. f4 ეc8 17. f5 მe5 18. fg hg 19. მe4 მc5 20. მg5 კg7?

ეს ტაქტიკური შეცდომა წარმოშობს მოტივს — „მხედრის სვლაზე", რასაც შოგირაძე მშვენივრად იყენებს. 21. კg7 მფg7 22. ეf7!! ჩახოიანი დანებდა. ეტლის შეწირვით განხორციელდა დაცვის მოსპობის იდეა.

„6 წლის დიდოსტატი"

ასე დავასათაურე 1966 წლის გაზეთ „ლელოში" გამოქვეყნებული წერილი. მესამე თანრიგის მოსაპოვებელ ტურნირში ჩემმა აღსაზრდელმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა (მეცადინეობის ორი წელიწადი) ბრწყინვალე საშამათო კომბინაცია განახორციელა.

ქობეთიანი



აზმაიფარაშვილი

მწვავე პოზიციაში ზურაბის უკანასკნელი სვლა იყო 22. მh4 f5!! რომლის საფუძველია ვარიანტი: 22. ...gf 23. კf5 ეf (ნებისმიერი სვლა) 24. კh7! მფh8 25. კg6! მფg8 26. ლh7 მფf8 27. ლf7X ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების კარგი ნიმუშია. 22. ...კe5 23. კf4!! f6 24. ლg7X.

აღსაზრდელის აზროვნებისა და შემოქმედებითი საწყისის განვითარება ურთულესი და უპირველესი საქმეა. დაბალ თანრიგოსნებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია კლასიკური მემკვიდრეობის — ანდერსენისა და მორფის გამბიტური თამაშის შესწავლა (ნაცვლად სადებიუტო ვარიანტების ზუთხვისა).

ანდრია დადიანი

თითქმის საუკუნის წინანდელ რუსულ პრესაში წავაწყდი რამდენიმე ფაქტს, რაც ერთგვარად ავსებს ჩვენი სახელოვანი წინაპრის საჭადრაკო ბიოგრაფიას.

იუბილარი

1900 წლის 15 ვარდობისთვეს კიევში ანდრია დადიანმა და გელბაკმა შავებით საკონსულტაციო პარტია მოუგეს რიცლინსა და ფონ-ბიულოვს.

1900 წლის მარიამობისთვეში კიევში გაიმართა ეგრეთ წოდებული მაისტერ-ტურნირი, რომელშიც ანდრიამ მეორე ადგილი დაიკავა. პირველი იყო საკმაოდ ცნობილი ნიკოლაევი. მათი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ტურნირის სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ მაშინ უკვე ცნობილმა მოჭადრაკემ, 20 წლის დუზ-ხოტიმირსკიმ მხოლოდ IX-XI ადგილი გაინაწილა.

1908 წელს მონტე-კარლოში ლეგენდარულმა ჰარი პილსბერმა და ანდრია დადიანმა საკონსულტაციო პარტია ითამაშეს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტ ზიგბერტ ტარაშსა და გოფერთან (1879 წელს ლ. გოფერმა და გენიალურმა იოჰან ცუკერტორტმა ინგლისში დააარსეს საჭადრაკო ჟურნალი „ჩეს მანსლი"). მივაგენი აგრეთვე პარტიებსაც, რომელსაც გავაცნობ ქართველ მკითხველს.

1908 წელს ფრანგული ჟურნალი „სტრატეჟი" იუწყება, რომ კიევში ჩასულმა ძლიერმა მოსკოველმა მოჭადრაკემ ვ. ნ. იურევიჩმა ორი მიკრო მატჩი მოიგო, გათამაშდა აგრეთვე ორი საკონსულტაციო პარტია დადიანმა და სტარიცკიმ 1,5:0,5 მოუგეს იურევიჩს და მაგიოვს.

ალბათ, დადგა დრო, რომ თბილისში ან ზუგდიდში გაიმართოს ანდრია დადიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი.

საახალწლო შეკითხვა მოყვარულებსა და მოჭადრაკეებს



თეთრები დანებდნენ

რომელ გენიალურ შემოქმედს ეკუთვნის ეს ზედმიწევნით ორიგინალური პოზიცია.

„სიძველისადმი გრძნობა, პატივი"

ამჯერად გთავაზობთ თბილისის ჩემპიონატში გათამაშებულ საინტერესო მინიატიურას. თეთრებით თამაშობს ქართული საჭადრაკო ორგანიზაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნიჭიერი და უკეთილშობილესი ალექსანდრე (საშა) ფალავანდიშვილი.

ფალავანდიშვილი-ნერსესოვი. ნიმცოვიჩის დაცვა. თბილისი, 1937 წელი. მარტი. 1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 კb4 4. ლc2 d5 5. e3 c5 6. dc მc6 7. cd ed 8. მf3 0—0 9. კe2 მe4 მოწინააღმდეგის პაიკების გაორებით ცდუნებული ნერსესოვი შეუმჩნევლად იუარესებს პოზიციას. 10. 0—0 კc3 11. bc ლa5 12. კd3 ლc3 13. კe4! ლa1 14. კh7 მფh8 15. კb2 (ცხადია, ნერსესოვმა ახლა დაინახა 15. ...ლa2 16. კg7! „ღია თავდასხმა") 15. ...ლf1 16. მფf1 f6 17. ლg6 მe7 18. ლh5 მg8 19. კc2 მh6 20. ლg6 მფg8 21. მg5! ნერსესოვი დანებდა.

უჩვენებს თბილისი



შაბათი

25 დეკემბერი

10.05 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 10.15 — მულტიპლიკაციური ფილმები. 10.40 — მხატვრული ფილმი. 12.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 12.10 — **დროხი** — სატელევიზიო პროგრამა. 15.10 — იმპროვიზაციები თემაზე — „ისტორია". 15.30 — მულტიპლიკაციური ფილმები. 16.10 — **ეკონომიკა და პოლიტიკა.** 16.45 — ვინ ხარ შენ?! 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — „ჰიგია" — SOS — დიფტერია. 17.55 — ხელოვნების ლექტორიუმი. 18.25 — ანარეკლი. 19.10 — ცოტა რამ ბიზნესზე. 19.40 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — პულსი. 21.05 — ირაო (გადაცემა პირველი). 21.35 — პადრე მარიო. 22.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.30 — ილუზიონი. 24.00 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

კვირა

26 დეკემბერი

10.05 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 10.15 — მულტიპლიკაციური ფილმები. 10.40 — მხატვრული ფილმი. 12.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 12.10 — ქართული ხალხური სიმღერის შესწავლა. 12.40 — დოკუმენტური ფილმი. 13.20 — საყმაწვილო ქრონიკები. 13.50 — სცენაზე და კულისებს მიღმა — მუსიკალური გადაცემა. 15.00 —



ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. 15.45 — მხატვრის სახელოსნოში — რადიშ თორდია. 16.20 — რაკურსი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — ინფორმაცია თქვენი თხოვნით. 17.45 — თაობა. 18.15 — თბილისი და თბილისელები — სატელევიზიო პროგრამა. 18.45 — ტელეკატალოგი. 19.00 — ტაიმ-აუტი. 19.30 — ირაო (გადაცემა მეორე). 20.05 — პრემიერა სატელევიზიო მუსიკალური ფილმისა „გრანდ-პა". 21.05 — რეკლამა. 21.10 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 21.40 — ჩემი ოცნება. 22.15 — ოლიმპიური ლატარია. 22.25 — საღამო მშვიდობისა! 24.00 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ორშაბათი

27 დეკემბერი

7.25 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.55 — მიზანი. 18.30 — ანძა — ტელემარკეტინგი. 18.40 — რამპა. 18.45 — ბიზნესკურიერი. 19.05 — განცხადებები. 19.10 — მერიდიანი — საერთაშორისო მიმოხილვა. 19.50 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — თაობა. 20.55 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ოდეონი" (პრემიერა). 21.35 — ლექსად თქმული ფიქრები — მაყვალა გონაშვილი. 22.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.35 — ირმა სოხაძე და მისი მეგობრები. 24.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა.

ჯანმრთელობის დაცვის კომისიაში

24 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის კომისიის სხდომა, რომელზეც განიხილეს კანონპროექტები: რესპუბლიკაში სამედიცინო განათლების, რესპუბლიკის კურორტების, რესპუბლიკაში ფსიქიატრიული დახმარების, „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორების შესახებ".

სხდომამ მიიღო დადგენილება, რომ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით დარგობრივი კანონპროექტების პაკეტი გადაეცეს პარლამენტს სესიაზე განსახილველად.

კარიკატურისტის თვალით



ქურდებმა გადავწყვიტეთ, ახალი წელი თქვენ ოჯახში გაგვეტარებინა!

მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

მთავარი რედაქტორი ბურამ ბოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" სასტამბო კორპუსს, თბილისი, ხოშტარიას 19.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434